# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 2011 წელი.

№153 (6764)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


ჭირი დანახული ჯობს



## ყვარყვარიზმი და ტერორიზმი მეცნიერებაში და მეცნიერების პროფანაციის მაგალითები

(6) (7)

მეტამორფოზა?!

## როდის ტყუოდა „შადრევან პირველი“, მაშინ თუ ახლა?



(2) (3)

გამჭოლი მზერა

## პორტი №1

● ჭამი რისხვის დაგროვებისა ●

## უზრუნველყოფილი ნახირი თუ... ღირსეული საზოგადოება?

(4)

● რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე ●

## რა იცოდა ამერიკამ 2008 წლისთვის საქართველოს სამხედრო გეგმების შესახებ?



## ონიშჩენკომ „ბორჯომი“ ეგების ისევ დაალევინოს რუსეთს

(8)

● არეული დრო ●

## როგორ ყიდულობს თხას... თხის გამყიდველი

(5)

● ცოტნეობა - 2011 ●

## დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა...

(7)



დღის ავ-კარგი

### ალექსანდრე ანქვაბი:

## კიტოვანის ბოდვას აფხაზი ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!



ისინი, ვინც კიტოვანს პოულობენ და მისგან ინტერვიუს იღებენ, ვლადისლავ არძინბას ხსოვნას შეურაცხყოფენ. ამის შესახებ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ანქვაბმა, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის ინტერვიუზე კომენტირებისას განაცხადა. კიტოვანის ბოდვას აფხაზი ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— ჩვენი ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ ადამიანის ბოდვას, ვინც ანადგურებდა ჩვენს ხალხს, ანგრევდა ქალაქებსა და სოფლებს, — დასძინა მან.

ამასთან, აქვაბის საარჩევნო შტაბში აღნიშნავენ, რომ პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა ღირსეული ადამიანია და იმედს გამოთქვამენ, რომ ამ საქმეში გარეული არ იქნება.



კიტოვანის თქმით, 1990-იან წლებში ალექსანდრე ანქვაბი საქართველოს დაზვერვისთვის მუშაობდა და ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა.

## გიგი უგულავა „თბილისის წყლის“ გასხვისების შესახებ ხალხს ინფორმაციას არ აწვდის!

„თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი საკრებულოში ზურაბ აბაშიძე თბილისის მერს გიგი უგულავას მიმართავს, საზოგადოებას „თბილისის წყლის“ სადისტრიბუციო ნაწილის გასხვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.



შესაბამისი შინაარსის წერილი ზურაბ აბაშიძემ თბილისის მერიაში მერის სახელზე შეიტანა.

აბაშიძის განცხადებით, არსებული ინფორმაციით, თბილისის წყლის სადისტრიბუციო ნაწილს ერთ-ერთი ქართული ბანკი ყიდულობს. აბაშიძის ვარაუდით, თბილისის წყლის სადისტრიბუციო ნაწილის გაყიდვა წყლის გაძვირებას გამოიწვევს.

— წერილში, რომელიც ჩვენ მერიაში შევიტანეთ, თბილისის მერის მისამართით კონკრეტული კითხვაა: არის თუ არა საქმის კურსში მერია „თბილისის წყლის“ სადისტრიბუციო ნაწილის გაყიდვასთან დაკავშირებით? ქალაქის მერისგან ვითხოვთ, მოაწოდოს საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, — აცხადებს აბაშიძე.

## შატილობის დღესასწაულზე დაკარგული 29 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი გიორგიწმინდაში აღმოაჩინეს. მას ვენები ჰქონდა გადაჭრილი. აღნიშნულის გამო გამოძიება ამ ეტაპზე თვითმკვლელობის ვერსიაზე მუშაობს. გარდაცვლილის ცხედარი დუშეთის პროზექტურაშია გადასვენებული. ზვიად გოგოჭური ბოლოს 10 დღის წინ, შატილობის დღესასწაულზე ნახეს.

**მეტამორფოზა?!**

# როდის ტყუოდა „შადრევან პირველი“, მაშინ თუ ახლა?

## ანუ ამბავი აქამდე მაჩანჩალა, უბედური, მათხოვარი, ჩამორჩენილი, გონებაჩლუნგი, ამჟამად კი „თვალში გამოხედილი“ ხალხისა, და ადრე უსახური, ხოლო ახლა ნიცა-კანის დარი ბათუმისა

**ბათუმი რომ ამ ბოლო ხანს მართლაც საოცრად და სასიკეთოდ შეიცვალა, ფაქტია. არ შეიძლება, ადამიანს არ მოგეწონოს იქაური ახალმშენებლობები, ძალიან ლამაზი ახალი ბულვარი თუ სარფისკენ მიმავალი საავტომობილო გზა... ამ რამდენიმე დღის წინათ იქ განახლებული ოპერის თეატრიც გაიხსნა.**

**და სწორედ ამასთან დაკავშირებით, ამ მოვლენის მერე, მიხეილ სააკაშვილის მიერ ჟურნალისტებისთვის ნათქვამი სიტყვები მინდა შევახსენო მკითხველს.**



მან შეაქო აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და ამ შენობის არქიტექტორები, მამა-შვილი ხმალაძეები, შემდეგ კი ხაზგასმით თქვა, **თუ ადრე ბათუმის ახალმშენებლობებზე დასაქმებულთა 80 პროცენტი უცხოელები იყვნენ, ახლა ამ სამუშაოებს მთლიანად ქართველები ასრულებენო.**

**„ესეც არის მიღწევა. ეს ნიშნავს, რომ ყველაზე მაგრად ვისწავლეთ მუშაობა, მაგარი კვალიფიციური სპეციალისტები გვყავს, რომლებიც ათწლეულების მანძილზე არ იყვნენ დასაქმებულები“, — თქვა სააკაშვილმა და, ის, რაც ბათუმში ხდება, წინგადადგმული ნაბიჯიაო, დასძინა.**

ამ სიტყვებით აღტაცებულს, ის იყო, ტაში უნდა შემომეკრა, რომ ამავე თემაზე მისი სულ სხვანაირად ნათქვამი გამახსენდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, უფრო ზუსტად კი 2007 წლის აპრილში სახალხოდ, საქართველოს პარლამენტში „გაჟღერებული“.

გამახსენდა კი იმიტომ, რომ მაშინ, ჩვენი გაზეთის 14 აპრილის ნომერში, ამის გამო წერილი გამოვაქვეყნე, რომლის ერთ ამონარიდსაც, ახლა შემოგთავაზებთ:

**„მეცხრამეტე საუკუნეში სულგანათლებული წმინდა ილია მართალი რამდენიმე აგრონომს ნატრობდა — საქართველოს სოფელს, სოფლის მეურნეობას ეშველებაო!... ჩვენს ამჟამინდელ პრეზიდენტს კი ასევე რამდენიმე მშენებელი ინჟინერი (განსაკუთრებით — სამუშაოთა მწარმოებელი, მდაბიო ენაზე „პრარაბი“ რომ ჰქვია) გახდომია სანატრელი, რათა ახალმშენებლობებზე ისინი იყვნენ დასაქმებულნი, ისინი შოულობდნენ პურის ფულს მაინც და არა — უცხოელები!**

**სწორედ ეს გულისტკივილი წამოსცდა საქართველოს პრეზიდენტს ამ ცოტა ხნის წინათ პარლამენტში გამოსვლისას.**

**აჭარაშიო, ბრძანა, დიდი ახალმშენებლობებია ახლა, მაგრამ იმის გამო, რომ არა გვყვანან კარგი „პრარაბები“, მღებავები, ელექტროშემდუღებლები (მხოლოდ ამ სამი სახეობის ხალხი გამოყო, დანარჩენები, ალბათ, იგულისხმებოდა. — რ. რ.), იმ მშენებლობებზე მხოლოდ უცხოელები მუშაობენო...**

**...ბატონო პრეზიდენტო, ვთქვათ, გადაშენდნენ, ან თუნდაც ძალიან ბევრი ჩემი ნაცნობივით ერთიანად საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ ლუკმაპურის საშოვნელად ჩვენებური კარგი „პრარაბები“, მღებავები, ელექტროშემდუღებლები და სხვები, მაგრამ, დავიჯეროთ, იმ დონის მშენებლები არ დარჩნენ საქართველოში, შენობა ისე ვერ ააშენონ, თვით მშენებლობის პროცესშივე რომ არ მოიყოლიოს ვინმე ქვეშ, ან სახურავიდან პირველმავე ჟუჟუნა წვიმამ არ ჩამოატანოს, ან ქარმა ისევე არ ახადოს შენობას სახურავი, როგორადაც ზოგიერთი ჩვენებური დიდმოხელე ხდის ნამუსს ყველაფრის მიუხედავად მაინც საქართველოში დარჩენილ ლამის სრულიად საქართველოს?!**

**დავიჯეროთ, მართლა ასე წახდა ჩვენი საქმე, ბატონო პრეზიდენტო და უფალო ხელისუფლებავ?!“**

რომელ **„მაგარ კვალიფიციურ სპეციალისტებსა“** და **„ათწლეულებს“** გულისხმობთ, უფალო პრეზიდენტო? როგორც შეგახსენეთ, სულ რაღაც ოთხი წლის წინათ ხომ სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდით?

ანუ როდის იყავით მართალი ან როდის ტყუოდით — მაშინ თუ ახლა?

არ მითხრათ ახლა, ჩვენი გადასარევი რეფორმების წყალობით სწორედ ამ ოთხ წელიწადში მოვამზადეთ **„მაგარი კვალიფიციური სპეციალისტები“** და **„ყველაზე მაგრად ვისწავლეთ მუშაობაო“.**

ეტყობა, სწორედ ასე ფიქრობთ, თანაც — დარწმუნებით, თორემ, სხვაგვარად, არც ამას იტყოდით:

**„ჩვენ საკმარისად ვიყავით მაჩანჩალები, უბედურები, საკმარისად ვიყრიდით თავზე ნაცარს, საკმარისად გვარწმუნებდნენ, რომ თქვენ ხართ მათხოვრები, ჩამორჩენილები, გონებაჩლუნგები, ნურას უკაცრავად!“**

**მართლაც ნურას უკაცრავად, უფალო პრეზიდენტო, მაგრამ გონებაჩლუნგიაო, ქართველობაზე არავის არასოდეს და არსად არ უთქვამს!**

**იმიტომ, რომ არავისთვის არასდროს არ მიგვიცია ამის თქმის საბაბი და თუ აწი ძალით არავის ათქმევინებთ ამას, უფრო სწორად, საამისო მიზეზ-საფუძველს არ მისცემთ ქართველთმოძულეებს (რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია!), კარგი იქნება.**

ხოლო თუ ვინმე სადმე მათხოვრებად მიგვიჩნევს, ეს იქნებ ჩვენი „არჩამოშლილი“ ეკონომიკის დამსახურებაც იყოს, რომლითაც ასე ხშირად ტრაბახობთ **(რაც არა გვაქვს, როგორღა ჩამოიშლება!)**?

რაო, ცილს ვწამებ ჩვენც ძალაუფლებას (და არა — ხელისუფლებას — **რ. რ.**) და განზრახ ვამუქებ ფერებს?

— არა, ბატონებო, და ამის დასადასტურებლად ერთ ფაქტსღა მოვიყვან:

**დღეს, უფრო ზუსტად ამ ბოლო წლებში, ევროკავშირში ყველაზე მეტად საბერძნეთს უჭირს. ამიტომაც მას მთელი ევროგაერთიანება ეხმარება, ახლახან უზარმაზარი სესხიც გამოუყვეს, რათა როგორმე თავი დააღწიოს დამღუპველ გასაჭირს და სხვებიც არ ჩაითრიოს ეკონომიკური ჩამორჩენა-მანჩანჩალობის ჭაობში.**

**თუ ყოველმხრივ მართლაც ასეთი მაგრები ვართ და ჩინეთის კედელზე უფრო მტკიცე, ჩამოუშლელი ეკონომიკა გვაქვს, რად გარბიან ამ „აყვავებული“ საქართველოდან (ძალიან ხშირად საზღვრის წარმოუდგენლად არაადამიანურ პირობებში, ავტობუსების საბარგულებში გაკეთებული „სამალავებით“ გადაკვეთისთვისაც კი არიან მზად) იმ „საწყალ“ საბერძნეთში, რათა იქ, უკაცრავი პასუხია და, დავრდომილ-ხანდაზმულთა უკანალის წმენდით თუ ხშირად დამამცირებელი სამუშაოების შესრულებით მიღებული კაპიკებით შეინახონ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრები და ახლობლები?**

**და ამის გათვალისწინებით, ერთი კითხვა:**

**თუ ყოველმხრივ მართლაც ასეთი მაგრები ვართ და ჩინეთის კედელზე უფრო მტკიცე, ჩამოუშლელი ეკონომიკა გვაქვს, რად გარბიან ამ „აყვავებული“ საქართველოდან (ძალიან ხშირად საზღვრის წარმოუდგენლად არაადამიანურ პირობებში, ავტობუსების საბარგულებში გაკეთებული „სამალავებით“ გადაკვეთისთვისაც კი არიან მზად) იმ „საწყალ“ საბერძნეთში, რათა იქ, უკაცრავი პასუხია და, დავრდომილ-ხანდაზმულთა უკანალის წმენდით თუ ხშირად დამამცირებელი სამუშაოების შესრულებით მიღებული კაპიკებით შეინახონ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრები და ახლობლები?**

უწინარესად იქნებ სწორედ ამაზე იფიქროთ „ყველაფრის ყველაზე საუკეთესოდ გაკეთების“ მოსურნენო?

**„ამას წინათ იძახდნენ, რატომ ადარებს ბათუმს ნიცას და კანსო. ნიცაში ასეთი თეატრი ნამდვილად არ არის და არც კანში... ყველაფერს გავაკეთებთ ყველაზე უკეთესად, რამდენიც არ უნდა მეძახოს ოპოზიციამ, რომ მე ვარ შადრევან პირველი“,** — დასვა წერტილი სააკაშვილმა.

ალბათ იმიტომ **„იძახდნენ, რატომ ადარებსო“,** რომ არ ვარგა ასეთი შედარებები, შადრევან პირველო!

არ ვარგა ისევე, როგორც არ შეიძლება, რომ თბილისის „ფუფლოდ“ გაკეთებული აეროპორტი (ხან წვიმის წყალი რომ ჩასდის თქრიალით და ხანაც ნიავიც კი აძრობს სახურავსძ დაამჯობინო მიუნხენისას, ორიოდ თვეში აგებული განმუხურის პატრიოტთა ბანაკი — მსოფლიოში ცნობილ არტეკს და ა. შ.

ეს თქვენეული ნათქვამ-შეფასებები ადრეც აღმინიშნავს ჩემს წერილებში, მაგრამ, სიტყვამ მოიტანა და, ახლაც შეგახსენებთ: **განმეორება ხომ ცოდნის დედაა.**

და კიდევ, გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა თახჩაზედა შემოდგოო, უთქვამს პოეტს.

ამით ბათუმს სულაც არ ვამცირებ! პირიქით, ისედაც მიყვარდა და ბოლოდროინდელი სასიკეთო სახეცვლილებების მერე უფრო მეტად მომწონს, მაგრამ რაც არ უნდა „გავსკდეთ კანში“, იგი კანი ვერ გახდება!

ვერც ნიცა, სხვათა შორის, რადგან ნიცა და კანი, ჩვენი **„ბალისა“** არ იყოს, **„სულ სხვაა“.**

უწინარესად თავიანთი ისტორიითა და ტრადიციებით, ცხადია.

და აქ ერთი თუ ორი შენობა ან ნაგებობა ვერაფერს შეცვლის.

**თანაც უმჯობესია, სხვამ თქვას ჩვენს რომელსამე ქალაქზე, ჩვენსაზე უკეთესიაო, და არა — პირიქით.**

**ხომ გახსოვთ წინაპრის ბრძნული ნათქვამი, — კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასაო...**

**ისიც ჯობს, ერთსა და იმავე საკითხზე აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავ რამეებსაც თუ არ ვიტყვით ხოლმე!**

**რუსლან რუსია**

**ინფორმაცია**

### საქართველოსა და სომხეთის მთავრობას შორის შეთანხმება გაფორმდა

**შეთანხმების** თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია წაახალისოს და შეუქმნას ხელსაყრელი პირობები მეორე მხარის ინვესტორებს თავის ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მხარის ინვესტორების ინვესტიციები განიცდის დანაკარგებს, მეორე მხარის ტერიტორიაზე ომის, შეიარაღებული კონფლიქტის, ეროვნული საგანგებო მდგომარეობის, გადატრიალების, აჯანყების, შეთქმულების, სტიქიური უბედურებების, ავარიების ან სხვა მსგავსი გარემოებების შედეგად, მათ მიენიჭებათ რეჟიმი, რომელიც რესტიტუციასთან, ანაზღაურებასთან, კომპენსაციასთან ან სხვა გადაწყვეტილებასთან მიმართებაში არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ის რეჟიმი, რომელსაც ეს უკანასკნელი მიანიჭებს საკუთარი ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორების ინვესტიციებს.

საქართველოსა და სომხეთს შორის დადებული აღნიშნული შეთანხმება ძალაში რჩება ათი წლის განმავლობაში. თუმცა, ამის შემდეგ ის იმოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე შესაბამისი ვადის გასვლამდე თორმეტი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

### პარლამენტი კრემაციის შემოღებას გეგმავს?

**„ლეიბორისტული პარტიის“** ინფორმაციით, პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე მიცვალებულის კრემაციის წესის შემოღებას გეგმავს .

როგორც პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, გადაწყვეტილია, რომ მიცვალებულების მიწის მიბარების წესი შეიცვალოს კრემაციით, რაც ქრისტიანობას ეწინააღმდეგება.

სოსო შატბერაშვილის განცხადებით, თბილისის მასშტაბით უკვე ამოქმედებულია ნორმა, რომლის მიხედვითაც, მიცვალებული სამი დღის შემდეგ უნდა დაიკრძალოს. ასევე, შატბერაშვილის მტკიცებით, იკრძალება ბალზამირება. „ლეიბორისტების“ ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, თუ მესამე დღეს არ მოხდება მიცვალებულის დაკრძალვა, ჭირისუფალს 1000-იდან 2000 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს.

### 9 ძმა ხერხეულიძისა და მარაბდის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსენების დღე

**16 აგვისტოს** 9 ძმა ხერხეულიძისა და მარაბდის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსენების დღე იყო. „ცხრა ძმა ხერხეულიძე დედითა და დით და მათ თანა ცხრაათასი ქართველნი, მარაბდას ბრძოლის ველზე მომწყდარნი“.

ცხრა ძმა ხერხეულიძე მარაბდის ბრძოლაში (1625 წლის 1 ივლისი) დაიღუპა. გადმოცემით, დაკრძალული არიან იქვე, სოფ. ძველი მარაბდის განაპირას, წმ. მარინეს ეკლესიის მახლობლად. ცხრა ძმა ხერხეულიძის მამაცური თავდადების ამბავი ფართოდ არის ასახული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

ჯი-ეიჩ-ენი

**გამჭოლი მზერა**

# ბორტი №1

## მისვლა-მოსვლისა და შეტან-გამოტანის მოტივები საქართველოს საგარეო ურთიერთობებში




შორეულ ხანას რომ არ მივუბრუნდეთ, სულ ახლახან, სამასი წლის წინათ ლუდოვიკოს კარზე სულხან-საბას იმ ვიზიტით დავიწყოთ, რომლითაც, დიდი პოეტის ნათქვამის მიხედვით, „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმა ქართლისამ“. საქართველოს საგარეო ურთიერთობების ზოგჯერ კურიოზული ხასიათი ამ ვიზიტში თვალსაჩინოდ გამოვლინდა. ამბობენ, სულხან-საბა ევროპის წამყვანი სახელმწიფოს მხარდაჭერის სანაცვლოდ, საქართველოს კათოლიკურ სამყაროში ინტეგრაციას პირდებოდა საფრანგეთის მეფესო. ლუდოვიკოს ამ ისტორიულ პერსპექტივაზე ფიქრით თავი არ შეუწუხებია. სამაგიეროდ, შინ დაბრუნებული სულხან-საბა სულ წვერით უთრევიათ, ქვეყნის გაკათოლიკებას შენ ვინ გეკითხებოდაო!

ჩანს, ამ ისტორიული გამოცდილების კვალდაკვალ, დიპლომატებმა წვერის ტარებაზე უარი თქვეს, თუმცა მათგან ყველაზე გამოუცდელნი ულვაშზე მაინც არ ამბობენ უარს. გამოთქმაც – „ამისთვის გაგიშვი პარიზში?“ – უთუოდ ამ ისტორიულ მეხსიერებას უნდა ეფუძნებოდეს. ერთ დროს ულვაში სინდისის და სიტყვის ფასის ეკვივალენტი იყო, მაგრამ ამ პარადიგმამაც ამოწურა თავი და გაპარსული ულვაშისა და გაყიდული სინდისის ეპოქაც დადგა.

საგულდაგულოდ გაპარსული სააკაშვილის მისვლა-მოსვლა უთუოდ ცალკე ტომს დაიკავებს ბედკრული საქართველოს დიპლომატიის ისტორიაში. დასაწყისში, გაღმა გასული ბორის ელცინის მაგალითით, ისიც სარეისო თვითმფრინავის ეკონომ-კლასით კმაყოფილდებოდა. ელცინმა სულ მალე დაანება თავი ამ პიარ-აქციებს და უცხოური ვიზიტებისას ცეკვა-თამაშსა და დირიჟორობას მოუხშირა. სააკაშვილსაც მალე მოყირჭდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ჯერ მოკრძალებულ საპრეზიდენტო თვითმფრინავში გადაჯდა. მერე და მერე, როცა საგარეო უწყება „კვალიფიციური კადრებით“ დაკომპლექტდა, ჰარუნ ალ-რაშიდის მაგვარი „ხალხში გადაცმული სიარულის“ აუცილებლობაც მოიხსნა და საკუთარმა „ბორტმა №1“ სააკაშვილს იმის საშუალებაც მისცა, რომ ოკეანის გაღმა მიმავალს, გზად გრენლანდიაში ან ისლანდიაში შეევლო.

თუმცა დიდი საქმეები „შევლით“ არ კეთდება და ამიტომ 2005-ში ახალი წელი სააკაშვილმა უკრაინიდან მოგვილოცა. მისი იქ ხანგრძლივად ყოფნა, არაკეთილმოსურნეთა ქირქილის მიუხედავად, მხოლოდ „საქართველოს ინტერესებით“ იყო ნაკარნახევი. „ნარინჯისფერ“ იუშჩენკოსთან „ვარდისფერი“ სააკაშვილის ნათელ-მირონობამ ამ ინტერესებს ვერ აჯობა და მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში ნაწნავიანი უკრაინელის მხარდაჭერა გახდა აუცილებელი. უკრაინაში უკვე სხვა ქართველები გაემგზავრნენ „არჩევნებზე დაკვირვების“ მისიით. თუმცა მისია Mission impossible გამოდგა. საარჩევნოდ „ნარჩევი“ ქართველი ბიჭები უკან გამოაბრუნეს, ხოლო ყოვლისშემძლე მერაბიშვილისა და გივი თარგამაძის სატელეფონო თათბირები ინტერნეტში გამოფინეს.

იანუკოვიჩის ინაუგურაციაზე 11 სახელმწიფოს მეთაური, 15 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, 4 გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და 4 პარლამენტის თავმჯომარე იმყოფებოდა, მათ შორის – დავით ბაქრაძე. ბევრი იქილიკეს არაკეთილმოსურნეებმა, მაგრამ სააკაშვილის იქ არყოფნა მხოლოდ იანუკოვიჩის პრორუსულობის ბრალი იყო და არა იმისა, რომ იგი არ დაუპატიჟებიათ.

ზოგადად, დაუპატიჟებელი სტუმრების თემა დიპლომატიაში მეტად მტკივნეულია, მაგრამ არანაკლებ დატვირთვას დაპატიჟებაზე უარის თქმა ატარებს. ეს თუნდაც იმით დასტურდება, რომ იმავე წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმზე სააკაშვილი დაპატიჟეს, ისევე, როგორც სარკოზი, მერკელი და კიდევ 20 სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი მოსკოვში ჩავიდნენ, „ბორტი №1“ კი „საქართველოს ინტერესების“ კარნახით ამ დღეს კოსტა-რიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის – ლაურა ჩინჩილია მირანდას ინაუგურაციაზე გაემგზავრა. გზად კი რომის პაპთან – ბენედიქტე მეთექვსმეტესთანაც შეიარა.

შემდეგ იყო ბოგოტა: 7 აგვისტოს კოლუმბიის ახლადარჩეული პრეზიდენტის ხუან მანუელ სანტოს კალდერონის ინაუგურაცია. აქაც, როგორც კოსტა-რიკაში, იგი ერთადერთი არალათინური ამერიკის ქვეყნის „ბორტი №1“ იყო. „იმ ადამიანებისთვის, რომელთათვისაც დემოკრატიული ღირებულებები ფასეულია, კოლუმბია მნიშვნელოვანი ქვეყანაა. ამიტომ დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ შემოთავაზებას და ვესწრები ინაუგურაციის ცერემონიას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

შემდეგ პრეზიდენტი ერთდღიანი ვიზიტით ცოლოურს, კარიბის ზღვის კუნძულ არუბაზე გაემგზავრა (ეს კუნძული ნიდერლანდების სამეფოს შემადგენლობაშია). ამბობენ, რომ იქიდან „ბორტი №1“ ერთი დღით „სტრატეგიულ პარტნიორ“ ქვეყანაში გადაფრენილა, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალური დიპლომატიური მატიანე დუმს.

რამდენიც უნდა იქირქილონ არაკეთილმოსურნეებმა იმის შესახებ, რომ აშშ-ის პირველი ფერადკანიანი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სააკაშვილი არ მიუწვევიათ, საქმეში ჩახედული ადამიანები იოლად ხვდებიან, რომ აქ უფრო დიდ თამაშთან უნდა გვქონდეს საქმე: თუკი პრეზიდენტს ლათინურ ამერიკაში იწვევენ, „სტრატეგიულ პარტნიორთან“ როგორღა არ მიიწვევენ? მე შენ გეტყვი და, ეს ჩამოთვლილი ქვეყნები ისევე არ არის აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ, როგორც საქართველოს მმართველი ხელისუფლება!

ვინც ამ თამაშის წესები არ იცის, ვერც იმას მიხვდება, თუ როგორ იცვლება საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება თუნდაც ბელარუსის მიმართ. ბელარუსში რევოლუციის ექსპორტის წარუმატებელი მცდელობების შემდგომ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე მიულოცა მეოთხედ გაპრეზიდენტება ალექსანდრე ლუკაშენკოს. სულ ახლახანს კი, ანაკლიის ბანაკში მან ბელარუსი „სუპერ ევროპულ სახელმწიფოდ“ გამოაცხადა. ტრაქტორებსა და ქალებზე რომ არ შევჩერდეთ, დიპლომატიის ისტორიაში ვისაც კი ჩაუხედავს, უმალ მიხვდება, რომ ვიდრე ამერიკული ეკონომიკა სულს ღაფავს, სააკაშვილი მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ რუკას თანმიმდევრულად ცვლის. ჩვენთვის ამერიკა ახლა უკვე ლათინური ამერიკაა, ევროპა – ბელარუსი, საქართველო კი მსოფლიოში ყველაზე გახსნილი სახელმწიფო. ჩვენ უვიზო მიმოსვლა დავუწესეთ ყველას (თურქეთს, ირანს, მთელ აფრიკას, ჩრდილოეთ კავკასიას და დანარჩენებსძ, საქართველოდან ნებისმიერი თანხის გატანა 2013 წლიდან ნებადართულია. გამოიცანით, ვისა აქვს საქართველოდან გასატანი ფული?

სულ ახლახანს „ბორტი №1“ პერუში დაეშვა. ახლადარჩეული პრეზიდენტის – ოლანტა ჰუმალას ინაუგურაციაზე სააკაშვილმა განაცხადა: „ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ლათინურ ამერიკაზე!“ სავარაუდოდ, ფულსაც სწორედ იქ გაიტანენ. თავის დროზე იქ სხვა ნაცებს გაჰქონდათ ფული და მეორე მსოფლიო ომის წაგების შემდეგ სწორედ იქ დაივანეს. ნაწნავიანმა უკრაინელმა კი სულ სხვაგან დაივანა – ციხეში. მასაც ფულის მოპარვასა და გატანას ედავებიან. იულიას დაპატიმრებამ საფრანგეთისა და აშშ-ის ელჩების გარდა, თვით რუსეთიც კი შეაშფოთა, მაგრამ სააკაშვილი ის უიშვიათესი გამონაკლისი აღმოჩნდა, რომელმაც მის სასარგებლოდ სიტყვაც არ დაასველა. რას იზამ, დიპლომატია „ვეფხისტყაოსანი“ არ არის, რომ მასში რაინდობის, მეგობრობისა და სიყვარულის მოტივები ეძიო.

**ნანა დევდარიანი,**
**Presage.tv**

**ზ. თ. ერთმა ჩემმა უფროსმა მეგობარმა ამას წინათ იხუმრა: – ჩვენს თაობაში თავმოჭრილი „ბაში-აჩუკი“ რომ სააკაშვილის ფანია, ამას დიდი ფსიქოანალიზი არ სჭირდება, მაგრამ არც ერთი და არც მეორე აბდუშაჰილის დამმარცხებლები რომ არ არიან, უკვე ყველამ გაიგოო! მისვლა-მოსვლისა და შეტან-გამოტანის მოტივები ქართული დიპლომატიის ისტორიაში კვლავაც გრძელდება, მაგრამ არშემდგარ ბაში-აჩუკებს დღეს უკვე შეგიძლიათ შეუბრუნოთ: „ახლა გინდ შეიტანე, გინდ გამოიტანე ეს შენი გაგორებული ფალავანი“!**

**ნ. დ.**

**კრიზისი**

# ჯორჯ სოროსის სამი რჩევა

**„ევროზონა ხანგრძლივი კრიზისის გამოსწორებას შესძლებს, თუ სამ რეფორმას გაატარებს, კერძოდ, თუ საბანკო სისტემის რეკაპიტალიზაციას განახორციელებს, ევროზონის საერთო ობლიგაციებს აწარმოებს და საერთო სავალუტო ზონიდან გასვლის მექანიზმს მოიფიქრებს“, – წერს სოროსი „The Financial Times“-სთვის დაწერილ სტატიაში და საკუთარი პროგრამის სამივე პუნქტზე დაწვრილებით საუბრობს, ამას იტყობინება „პირველი“.**



ბანკების რეკაპიტალიზაციაზე მსჯელობისას სოროსი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მათი გადარჩენა ევროპული სტაბილურობის ფონდს დაევალოს, რათა ბანკებისა და ადგილობრივი რეგულატორების „აღრევა“ გამოირიცხოს.

ევროზონისთვის საერთო ევროობლიგაციების შემოღების აუცილებლობის შესახებ საუბრისას, სოროსი წერს, რომ ხანგრძლივი კრიზისით დაზარალებულ ქვეყნებს ამგვარად ბაზარზე სახსრების იაფად მიღების შესაძლებლობა ექნებათ.

ამასთან, მისივე თქმით, საერთო ევროპულ ობლიგაციებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი გადაუწყვეტელი საკითხია, კერძოდ, ბოლომდე გასაგები არ არის კონკრეტულად ვინ გამოუშვებს საერთო ევროპულ ობლიგაციებს და ვინ დაკავდება ფასიანი ქაღალდების კონტროლით.

სოროსი თვლის, რომ პროცესის ხელმძღვანელი გერმანია უნდა იყოს, რამდენადაც სწორედ გერმანული საკრედიტო რეიტინგი (როგორც ევროზონის ყველაზე კრედიტუნარიანი წევრიძ ზარალდება ყველაზე მეტად ახალი ფასიანი ქაღალდების შემოღებით.

ამასთან, ჯორჯ სოროსი სტატიაში იმასაც აღნიშნავს, რომ გერმანიის პოლიტიკა მას იდეალურად არ ეჩვენება. ინვესტორის აზრით, გერმანელები ცდილობენ, რომ თავიანთი მაკროეკონომიკური ხედვა მთელს ევროკავშირში გაავრცელონ.

აქვე სოროსი დასძენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ევროპული ობლიგაციის მექანიზმი მოწონებული იქნება, მაშინ საჭიროა, გაიწერონ ქვეყნების ევროზონიდან გამოსვლის მექანიზმიც, სხვაგვარად ერთი ქვეყნის მიერ საკუთარი ვალდებულებების გამკლავების უუნარობამ, შესაძლოა, ევროს დაშლა გამოიწვიოს.

**თელარა გელანტია.**

**ინფორმაცია**

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა სტიქიით დაზარალებულებს სახლები შეუძინა

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა, მეწყრით, ხანძრით და სხვა სახის სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამის შესაბამისად უსახლკარო, მრავალწევრიან, სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს სახლები შეუძინა.**



**როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან იტყობინებიან, დღეს, 17 აგვისტოს გურიის გუბერნატორი ვალერიან ჩიტაიშვილი ამ ოჯახებს ახალმოსახლეობას მიულოცავს.**

**გამგეობის ინფორმაციით, მერაბ ვადაჭკორიას 8-სულიანი ოჯახი, რომელთა შორის 5 ბავშვია, სოფელ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობდა.**

**ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეწყრით, ხანძრით და სხვა სახის სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამის ფარგლებში მათთვის 7000 ლარად აკეთში შეიძინა საცხოვრებელი სახლი.**

**ლანჩხუთის გამგეობაში განმარტავენ, რომ კალმანე გოგუას 8-სულიანი ოჯახი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 7 წელია თითქმის დანგრეულ სახლში ცხოვრობდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათთვის 6700 ლარად ჯურუყვეთშივე შეიძინა სახლი.**

**ამ პროგრამით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში წელს 30 ათასი ლარია გათვალისწინებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 153. ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 2011 წელი.

# უზრუნველყოფილი ნახირი თუ... ღირსეული საზოგადოება?

**ქართული ცნობიერების სავარაუდო ცვლილებებსა და თავისებურებებზე, იმაზე, თუ რატომ მიიჩნევა ქართულ საზოგადოებაში სოციალური პროტესტი მიუღებლად და რამდენად დიდია ამავე მოტივით შემოდგომაზე საპროტესტო აქციების ტალღის აგორების ალბათობა, „ინტერპრესნიუსი“ ანალიტიკურ ჯგუფ „ტერრა მედიას“ გენერალურ დირექტორს, სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.**



**— ბატონო ვალერიან, თქვენი აზრით, ზოგადად, როგორია ჩვენი საზოგადოების სოციოლოგიური პორტრეტი? დამოუკიდებლობის წლებში რა მენტალური ცვლილებები განიცადა საზოგადოებამ და რა შეიძლება ჩაითვალოს დღეს ქართული მენტალობის ძირითად მახასიათებლად?**

— არ ვიცი, რამდენად შევძლებ ამ მეტად რთული საკითხის ადეკვატურ გაშუქებას, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ინტერვიუში გამოთქმული შეხედულებები სუბიექტური ხასიათის იქნება და წარმოადგენენ როგორც კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ასევე პირად დაკვირვებებზე დამყარებულ დასკვნებს.

მენტალური ცვლილებების თვალსაზრისით, ქართულ საზოგადოებაში ორ ძირითად ტენდენციაზე უნდა ვისაუბროთ. პირველი ეხება ჩვენს ეკონომიკურ, სოციალურ და ყოფით ქცევას, ხოლო მეორე, ცვლილებებს ცნობიერებაში, საკუთრივ მენტალურ ცვლილებებს. პირველ შემთხვევაში აშკარაა, რომ საზოგადოებამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, საკმაო ტრანსფორმაცია განიცადა. დღეს იშვიათად თუ ნახავთ მოქეიფეს რესტორანში, რომელიც ოფიციანტს 99 ხინკალს უკვეთავს, მცირდება სარიტუალო სუფრების რაოდენობა, რომლის სტუმრების რაოდენობა 100 კაცს აჭარბებს. პრაქტიკულად ვერ ნახავთ საქორწილო სუფრას, რომელშიც სტუმრების რაოდენობა 1000-1500 კაცს აღემატება. არადა, ეს ყველაფერი კიდევ 10-15 წლის წინათ, პრაქტიკულად, ყოველდღიური ყოფის ელემენტს წარმოადგენდა.

მოქალაქეები გახდნენ კანონმორჩილები, ყოველწლიურად მცირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები. პრაქტიკულად ვერ ნახავთ მძღოლს, რომელიც ტანზე ღვედს არ იკრავს. ქართველებმა ისწავლეს რიგში დგომა, შუქნიშანის ნიშნების დაცვა, სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი წინასწარ გეგმავს თავის ყოფას, შვებულებას, დასვენებას და ა.შ. მოკლედ, ამ თვალსაზრისით ცვლილებები თვალსაჩინოა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების უმრავლესობა განპირობებულია ეკონომიკური ფორმაციით და კანონის მიმართ შიშით და არა პატივისცემით. მოკლედ, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი და უდავოდ პოზიტიური ცვლილებები უკავშირდება ჩვენს ეკონომიკურ, სოციალურ და ყოფით კულტურას, მაგრამ ადამიანი არ არის მხოლოდ ჰომო ეკონომიკუს-ი.

დავიწყოთ იმ თემით, რომელიც ეხება კანონპროექტს, რომელმაც საქართველოში არსებულ კონფესიებს და დენომინაციებს მიანიჭა საჯარო სუბიექტის სტატუსი. ამ კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება დიდი ვნებათაღელვის გამოწვევის მიზეზად იქცა საპატრიარქოშიც და საზოგადოების დიდ ნაწილში. მოდით, გავაანალიზოთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ვნებათაღელვის მიზეზი?

სახელისუფლებო წრეებში და არა მხოლოდ იქ, ისმოდა კრიტიკული და მეტად გალიზიანებული კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შორს არის ევროპული და საერთო ცივილიზაციური პარადიგმებისგან, რომლის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს ადამიანის უფლებები და აღმსარებლობის და რწმენის უფლება, რომ ჩვენი მართლმადიდებელი მრევლი არის ჩამორჩენილი და უკიდურესად შეუწყნარებელი. ფორმალურად, ევროპელის ან ჩრდილოეთ ამერიკელის გადმოსახედიდან შეიძლება ასეც ჩანდეს, მაგრამ ჩვენ არ ვართ არც ინგლისელები და არც ნორვეგიელები და ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენი ისტორია და კულტურა, სხვა თუ არაფერი, განსხვავებული განვითარების ტრაექტორიას გვკარნახობს.

მაგალითად, ძალიან მცირეა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც სასულიერო მღვდელმთავარი სარგებლობს ისეთი პატივისცემით და გავლენით, როგორც საქართველოში. მრევლს, პატრიარქის სახით, ჰყავს სულიერი მწყემსი, უზენაესი ავტორიტეტი და ამ ავტორიტეტის მიერ ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა თუ მოწოდება განიხილება როგორც განწყობა, როგორც სტიმული მოქმედებისათვის. როდესაც ჩვეულებრივი მწყემსი ახორციელებს გარკვეულ მოქმედებებს, რათა გადაარჩინოს ფარა, მას არავინ ეკითხება ან სთხოვს საფრთხის იდენტიფიკაციას და მისი მოქმედებების ადეკვატურობის დასტურს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელი მრევლი დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე მრავალრიცხოვან სოციალურ და რელიგიურ ჯგუფს, რომელსაც გააჩნია პიროვნება, რომლის ავტორიტეტი და გავლენა სცილდება ამ ჯგუფის არეალს. საქართველოს პატრიარქს არ სჭირდება არც მედია ან სხვა რესურსი თავისი გავლენის განსამტკიცებლად. საკმარისია მხოლოდ მისი ერთი სიტყვა. და როდესაც ეს სიტყვა გაისმა, თბილისი გახდა მოწმე ყველაზე მრავალრიცხოვანი მანიფესტაციისა, რომელიც კი ჩატარებულა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. ნახევრადსტიქიურმა, შთამბეჭდავმა მსვლელობამ გარკვეულ შოკში ჩააგდო ხელისუფლება. ის იძულებული გახდა, წასულიყო კომპრომისზე ეკლესიასთან და ეს ფაქტიც აღნიშვნის ღირსია, ვინაიდან მანამდე ხელისუფლება არ უშვებდა კომპრომისს არც ერთ სოციალურ ჯგუფთან.

**— უმძიმესი ეკონომიკური რეფორმები აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებმაც გადაიტანეს. შესაძლოა, ამ ქვეყნების ერების მენტალობაშიც მოხდა გარკვეული ცვლილებები, მაგრამ შესამჩნევ ცვლილებებზე პრაქტიკულად არავინ საუბრობს. თქვენი აზრით, რა გავლენა იქონია ქართულ მენტალობაზე პოლიტიკური ნიშნით 90-იან წლებში შიდადაპირისპირებამ და შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო-პოლიტიკურმა მარცხმა?**

— ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საზოგადოებაც, როგორც ადამიანთა ერთობა არ შეიძლება შეფასდეს ერთგვაროვნად. შესაძლებელია, საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ტრენდებზე საუბარი. მაგალითად, ზოგი ადამიანი, თუკი მას ჩხუბში მაგრად სცემენ, ჩამოჰყრის ყურებს და დაკომპლექსდება. ზოგი კი, იმ იმედით დაიწყებს ვარჯიშს, რომ მომავალში გაუსწორდეს თავის მცემელს. მართალია, ჩვენი სიტუაცია ბევრად რთულია, ჩვენ რამდენჯერმე კარგად გვჟეჟეს და ეს საფრთხე კვლავ ნარჩუნდება, მაგრამ საიმისოდ, რომ განვთავისუფლდეთ დამარცხებულის კომპლექსისაგან, უნდა ვიფიქროთ, თუ რატომ გვცემეს?

რატომ ვრჩებით ერთი ერთზე სუბიექტთან, რომლის წონითი კატეგორია რამდენჯერმე აღემატება ჩვენს წონით კატეგორიას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა ვეძებოთ ისეთი გზა, რომელიც აგვარიდებს ამ სუბიექტთან პერმანენტული კონფრონტაციის რეჟიმს და მოგვცემს ნორმალური განვითარების საშუალებას.

ამდენად, წარსულის, შეცდომების ანალიზი და საბოლოო მიზნების ჩამოყალიბება უნდა იქცეს ახალი ეტაპის საწყისად. თქვენ საუბრობთ ამერიკანიზაცია – ევროპეიზაციაზე, ან ფართო გაგებით ვესტერნიზაციაზე, მე კი მხოლოდ სინგაპურიზაციაზე საუბარი მესმის. არა და, ვესტერნიზაცია და სინგაპურიზაცია რადიკალურად დაპირისპირებული კონსტრუქტებია.

ერთი გულისხმობს ჰუმანიტარული ასპექტების განვითარებას, ადამიანის პატივისცემას, მისი სოციალური, ეკონომიკური ინიციატივების წახალისებას, მისი ჯანმრთელობის და განათლების მხარდაჭერას. ხოლო სინგაპური წარმოადგენს ქალაქ-სახელმწიფოს, სადაც არ არსებობს თავისუფალი მედია, რომლის აბორიგენული მოსახლეობა დიდი ხანია, რაც უმცირესობაშია, ხოლო სახელმწიფო ენებად გამოცხადებულია ჩინური და ინგლისური.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი სინგაპურელების ყოფიდან, რომელიც ყველაზე ხატოვნად გამოხატავს იმას, თუ რას წარმოადგენს ეს საზოგადოება. თუკი ერთ-ერთ პოტენციალურ მშობელს არ გააჩნია განათლება, სახელმწიფო მას დაჟინებით სთავაზობს სტერილიზაციას, თუმცა, საკმაოდ დიდი ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ. სინგაპურული ევგენიკა მიზნად ისახავს „სწორად განვითარებული“ ერის გაზრდას. ამავე დროს, სინგაპური წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ სახელმწიფოს. მე მაქვს კითხვა და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უახლოეს მომავალში მოუწევს ძალიან ბევრს – გვინდა ვიყოთ უზრუნველყოფილი ნახირი თუ ღირსეული და თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება?

**— ხშირად გამოითქმის აზრი, რომ ჩვენში ფსევდოამერიკანიზაციისა და ფსევდოევროპეიზაციის პროცესმა პიკს მიაღწია. საზოგადოების ნაწილი ამ პროცესს ღიად უპირისპირდება, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ამ თვალსაზრისით რაც ხდება, სავსებით მისაღებია.**

ეს საზოგადოების ცნობიერების „ევროპულ-ამერიკული ფასეულობებისადმი“ მიდრეკილებაზე შეიძლება მიანიშნებდეს თუ იმას, რომ საზოგადოება ქვეყანაში მიმდინარე ექსპერიმენტებისგან გადაღლილია და პროტესტის უნარიცა და ენერგიაც, პრაქტიკულად დაკარგული აქვს?

— ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებისგან საქართველოს მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია ისმენს საუბარს „სინგაპურიზაციის“ შესახებ. ეს საფრთხე ცივილიზაციური საფრთხეა, ამას არა მხოლოდ ევროკავშირის მესვეურები აღნიშნავენ, არამედ თავის პუბლიკაციებში საუბრობენ ჰატინგტონი, ფუკუიამა. ყველა აღიარებს, რომ სინგაპურის ავტოკრატიული, კონფუციანურ ეთიკაზე დამყარებული კაპიტალიზმი, დასავლეთის, ლიბერალურ ფასეულობებზე დამყარებული კაპიტალიზმისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ეს მოდელი ბევრად უფრო სახიფათოა დღეს, ვიდრე კომუნისტური საფრთხე წარსულში, ვინაიდან ეს მოდელი, ტოტალური სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევისა და შეზღუდვის სანაცვლოდ კეთილდღეობას გვთავაზობს. თავისი არჩევანის გაკეთება ყველას მოუწევს.

რაც შეეხება სხვა „ზაციებს“ ბუნებრივია, ჩვენი ცივილიზაციური აზიმუტი ევროპაში დევს, მაგრამ ჩვენ თავს რომ ვეკუთვნოდეთ, ჯერ ჩვენი თავი უნდა მოვიპოვოთ. ჩვენი ისტორია და კულტურა, სხვა თუ არაფერი, განსხვავებული განვითარების ტრაექტორიას გვკარნახობს. მიმაჩნია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული, უნიკალური და ექსკლუზიური სტატუსი. რატომ? ერთი მარტივი მიზეზის გამო. ჩემთვის, არაეკლესიური ადამიანისთვის, ქართული ეკლესია არ არის მხოლოდ რწმენის და საკრალური ცოდნის ეპარქია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის დროს, სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია გვევლინებოდა ქართული იდენტობის და ქართული სახელმწიფოს პრედიკატად.

პარადოქსია, იმიტომ რომ ევროპაში, ეს სხვაგვარად იყო. კათოლიკური და შემდგომ პროტესტანტული ეკლესიები არ ცნობდნენ ეროვნული სახელმწიფოს ცნებებს და ცდილობდნენ თითოეულ ადამიანზე ტოტალური კონტროლის დაწესებას. სხვადასხვა მონაცემებით, ინკვიზიციის მსხვერპლთა რაოდენობა ევროპაში შეადგენდა 10-20 მილიონამდე ადამიანს. სწორედ ამით არის განპირობებული განმანათლებლების მოღვაწეობა ევროპაში და ამ მოღვაწეობის შედეგად წარმოქმნილი მძლავრი ემანსიპაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპული ეკლესიების განდევნას საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და სამოქალაქო აზროვნების, ეროვნული თვითშეგნების და მოქალაქეობრივი უფლებების და თავისუფლებების ჩამოყალიბებას.

თუკი ჩემი ეკლესია, სხვა ეკლესიების მსგავსად არ ებრძოდა თავის ერს და პირიქით, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა და ინარჩუნებდა ერს, მამულსა და სახელმწიფოს – რატომ არ უნდა სარგებლობდეს ის განსაკუთრებული მდგომარეობით იგივე სახელმწიფოს მხრიდან? ეს ხომ ჩვენი და არა ფრანგის, ან ესპანელის ისტორიაა? რაც შეეხება ხალხში არსებულ საპროტესტო პოტენციალს, ზემოთ აღვნიშნე, რომ ის არსებობს, უბრალოდ საზოგადოება პროტესტის ფორმისა და საბაბის ძიებაშია.

თუკი ჩემი ეკლესია, სხვა ეკლესიების მსგავსად არ ებრძოდა თავის ერს და პირიქით, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა და ინარჩუნებდა ერს, მამულსა და სახელმწიფოს – რატომ არ უნდა სარგებლობდეს ის განსაკუთრებული მდგომარეობით იგივე სახელმწიფოს მხრიდან? ეს ხომ ჩვენი და არა ფრანგის, ან ესპანელის ისტორიაა?

**— მალე შემოდგომაც მოვა და ქვეყანაში ახალი პოლიტიკური სეზონი დაიწყება. ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, შემოდგომაზე აქციების დაწყებას აანონსებს. თქვენი აზრით, პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით სავარაუდოდ, როგორი შეიძლება იყოს მოახლოებული შემოდგომა?**

— შემოდგომაზე ტრადიციულად მოსალოდნელია გარკვეული ტიპის აქტივობები. თუ რა მასშტაბებს შეიძენს მომავალი საპროტესტო ტალღა რთული სათქმელია, ვინაიდან დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე. სხვათა შორის, ხელისუფლებაც ტრადიციულად იყენებს ზაფხულს შემოდგომა-ზამთრის მოსალოდნელი პროცესების მოსამზადებლად. შარშან ზაფხულში ხელისუფლება ენერგიულად „აგვარებდა“ გარე მოვაჭრეების და ლტოლვილების საკითხს. წელსაც, ლტოლვილები იძულებით ტოვებენ უკანასკნელ კომპაქტურად დასახლებულ წერტილებს. ამავე დროს, ხელისუფლება ჰპირდება პენსიონერებს საშემოდგომოდ პენსიების გაზრდას.

თუმცა, ჩემი აზრით, შემოდგომაზე სოციალური ფონი კვლავ დამძიმდება. საპროტესტო ელექტორატის ბაზისურ ჯგუფს კი საშუალო და საშუალოზე მაღალი ასაკის მოქალაქეები წარმოადგენენ. ეს სწორედ მოქალაქეების ის კატეგორიაა, რომლებშიც მძაფრდება პროტესტი „სინგაპურიზაციის“ წინაალმდეგ.

შესაძლოა, მომავალი საპროტესტო აქციების ძირითად ლაიტმოტივად სწორედ ეროვნული იდენტობის და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხი გახდეს. თუკი გავითვალისწინებთ დაძაბულობას ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის, მრევლში არსებულ რადიკალურ განწყობებს, ამ ყველაფერმა შეიძლება საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღოს.

**კობა ბენდელიანი**



## ფულადი გზავნილები

**თუმც გამუდმებით გვარწმუნებენ, რომ წყლის მრიცხველთა დაყენება, ელექტროენერგიისა და დასუფთავების კომუნალური გადასახადების სიამის ტყუპებივით ერთმანეთზე მიბმა, ინფლაციის 14-პროცენტიანი დონის 10 პროცენტამდე შემცირება, საქალაქო ტრანსპორტის გაძვირება და ათასი სხვა მსგავსი რამ მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება, ფაქტია, რომ ღატაკები დღითიდღე ღატაკდებიან, მდიდრები კი იმავე ტემპით უფრო მდიდრდებიან. ასე იყო ოდითგანვე, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი წყობის ჩანასახები გაჩნდა და, სანამ ძალაუფლების სათავეში მოსული საზოგადოებრივი ძალა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნებს, ყოველთვის ასე იქნება.**

# როგორ ყიდულობს თხას... თხის გამყიდველი

ხალხს კი რომ უჭირს, ამას მათხოვრებით სავსე ქუჩები, ნაგავში მქექავი დიდ-პატარა, საავადმყოფოში ვერ მისული ათასობით კაცი და ქვეყნიდან ყოველდღიურად ლუკმაპურის საძებნელად გასულ ადამიანთა ნაკადის სიმძლავრე მოწმობს.

ჩვენი მოსახლეობის ეს უკანასკნელი კატეგორია კიდევ ცალკე სალაპარაკო თემაა. საზღვარგარეთ ისინი, უმეტესწილად, ოჯახების შესანახად მიდიან, სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად არალეგალურად რჩებიან და ყოველგვარ შავ, მძიმე სამუშაოს ჰკიდებენ ხელს. რა დასამალია, ბევრი ჩვენი თანამემამულე საზღვარგარეთ კანონგარეშე საქმიანობასაც ეწევა, ათასგვარ უბედურებას სჩადის, რითაც არა მარტო თვითონ ზარალდება, არამედ ერსაც ჩირქს სცხებს. მაგრამ ეს სხვა კატეგორიის ხალხია და მათ სამართალდამცველები მიხედავენ.



დიდი ხანია, რაც ასეთ ლეგალურ თუ არალეგალურ მიგრანტთა მიერ საქართველოში ყოველწლიურად გამოგზავნილი თანხები მრავალი ოჯახისთვის ლამის შემოსავლის ერთადერთი „სადინარიც“ არის და ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების საგრძნობი წყაროც. ამას მით უფრო მნიშვნელობა აქვს, როცა შიდა სასაქონლო ბაზარი ერთიანად უცხოური პროდუქციითაა წალეკილი, მის შემოსაზიდად, ცხადია, სავალუტო სახსრებია საჭირო, რაც გადინების ნაკადს შემოდინებისაზე უფრო მძლავრს ხდის. ამიტომ სახელმწიფო და კომპანიების მიერ ამ პროცესის რეგულირების გარდა, მნიშნელოვან როლს მოსახლეობაში დატრიარებული სავალუტო სახსრები ასრულებენ.

უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს საქართველოში საზღვარგარეთიდან (კერძოდ, რუსეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სხვა ქვეყნებიდან) შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობამ საკმაოდ იმატა, რაც, უწინარესად, ქვეყნიდან მიგრანტთა ნაკადის ზრდას მიანიშნებს, თორემ დიდი ხნის წასულთა ფინანსური მდგომარეობა ასე მკვეთრად რომ ვერ გაიზრდებოდა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, ეს არავითარ ეჭვს არ ბადებს. ამასთან, ზოგჯერ, ეს მართლაც შესაძლოა ასე იყოს, მაგრამ საერთო სურათზე იგი დიდ ზეგავლენას არ მოახდენს. თავად განსაჯეთ: ბოლო დროს ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა რუსეთიდან, ყაზახეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან. საერთო მატებამ კი 20 პროცენტს გადააჭარბა. ისმება კითხვა: რა სარგებლობის მოტანა შეუძლია უცხოეთიდან შემოსულ ფულს ქვეყნის ეკონომიკისთვის? (თუ რა სიკეთე მოაქვს მას ხალხის იმ ნაწილისთვის, ვისი მისამართითაც იგზავნება, ეს დღესავით ნათელია). **ქვეყნის ეკონომიკას ეს ფული მაშინ წაადგებოდა, როცა მისი ძირითადი მასა ისევ სამამულო წარმოების პროდუქციის შეძენასა და, ამ გზით, ადგილობრივი წარმოების წახალისებაზე იქნებოდა მიმართული.** იმის გამო, რომ ჩვენს ნებისმიერ მაღაზიაში, ახლა კი დიდი ხანია უკვე აგრალურ ბაზრებშიც კი, ადგილობრივი წარმოების პროდუქცია სანთლითაა საძებარი, ფაქტობრივად გამოდის, რომ საზღვარგარეთიდან შემოდინებული ფულის მასის უმეტესი ნაწილი იმავე სახეობის პროდუქციის, იმავე მწარმოებლისგან შეძენაზე იხარჯება, რაც მის ისევ საზღვარგარეთ, ოღონდ ახლა უკვე სხვა არხებით გადინებას ნიშნავს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდისა და დოლარის გაცვლითი კურსის შემცირების პროცენტულ მაჩვენებელს შეეხება. საქმე ის არის, რომ მათი ერთობლივი ჯამი (დაახლოებით 21 პროცენტი) მეტად ახლოს დგას შემოსულ ფულად გზავნილთა ახლანდელ პროცენტულ ზრდასთან (დაახლოებით 20,5 პროცენტი). **ეს კი იმას ნიშნავს, რომ შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში შედარებით ნაკლები თანხით იმდენივე საქონლის შეძენა შეიძლებოდა, რამდენისაც წლევანდელი 20-პროცენტიანი ზრდის პირობებშია შესაძლებელი. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ბოლო დროს ქვეყანაში შემოსული თანხების მოცულობის ნომინალური ზრდის მიუხედავად, ამით დიდი მოგება ვერც თავად მოსახლეობამ ნახა და ვერც ეროვნულმა ეკონომიკამ. თუმცა ქაღალდზე ყველაფერი ერთობ სხვაგვარად, კოხტად ჩანს.**

საქართველოში ფასების ზრდის კიდევ ერთი ნეგატიური მომენტი ის გახლავთ, რომ შემოსავლის დაახლოებით ერთ დონეზე შენარჩუნების პირობებში მიგრანტებს ახლობელ-ნათესავებისთვის მეტი სახსრების გამოგზავნა უწევთ, რაც მათ გამდიდრებას, ბუნებრივია, ხელს ნამდვილად არ უწყობს. ეს მათ იქ ისედაც საკმაოდ რთულ პირობებში ყოფნას უფრო ართულებს და ლამის ცნობილი მწარე თქმის — თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, მოგება ვერ ვნახეოს — დარს ხდის.

**ოთარ ტურაზელიძე**

## საგულისხმო ფაქტი

# დაუქვეითდით!

## IREX-მა საქართველოში თავისუფალი მედია-გარემო მაქსიმალური 4 ქულიდან 1.82 ქულით შეაფასა

**Eurosianet-ი საქართველოში მედიის მდგომარეობასთან დაკავშირებით სტატიას აქვეყნებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნები სიტყვის თავისუფლებას და დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას დიდად არ სწყალობენ. როგორც სამოქალაქო საზოგადოების იდეის მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციის IREX-ის ბოლო კვლევამ ცხადჰყო, მედია-გარემოში გრძელვადიანი, პოზიტიური ცვლილებების უზრუნველყოფა ისეთმა ქვეყნებმაც კი ვერ მოახერხეს, სადაც ე.წ. „ფერადი“ რევოლუციები მოხდა, ამას იუწყება „პირველი“.**

ახლახან, „მრგვალი მაგიდის“ გარშემო, რეგიონში არსებული ტენდენციების შეფასებისას, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან, მედიის დამოუკიდებლობასთან და შერეულ ასპექტებთან დაკავშირებით, საქართველოში უშუალოდ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ და ყირგიზეთში 2005 წლის „ტიტების რევოლუციის“ შემდეგ სიტუაცია გაუმჯობესდა, თუმცა ეს მიღწევები გრძელვადიანი არ აღმოჩნდა: ნელ-ნელა ქართული და ყირგიზული მედია ფაქტობრივად საწყისს, რევოლუციამდელ პოზიციებს დაუბრუნდა — აღნიშნეს დისკუსიის მონაწილეებმა.



„მრგვალი მაგიდის“ სხდომა IREX-ის საიუბილეო, მეათე ყოველწლიური კვლევის გამოქვეყნებას დაემთხვა. კვლევის სახელწოდებაა „მედიის მდგრადობის ინდექსი (MSI) ევროპასა და ევრაზიაში“. აღნიშნული კვლევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის „მედიის სექტორის სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადობის შეფასების“ მცდელობაა. არასამთავრობო ორგანიზაცია IREX-ის, რომელიც დიდწილად საგანმანათლებლო სფეროში გაცვლითი პროგრამებითაა ცნობილი, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის მედიის განვითარებაზე, აქტიურად მუშაობს.

2011 წლის ანგარიშმა დაადასტურა, რომ თურქმენეთი და უზბეკეთი პლანეტის ყველაზე რეპრესიული სახელმწიფოებია. ქვეყნებში მედია-გარემო შეფასებულია 0-დან 4-ქულამდე სკალით (სადაც 4 თავისუფალ გარემოში მედიის საქმიანობას ნიშნავს). IREX-ის სპეციალისტებმა თურქმენეთი — 0.35 ქულით, ხოლო უზბეკეთი 0.56 ქულით შეაფასეს. ყველაზე სასიკეთო მედია-გარემო კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში 2011 წელს, IREX-ის აზრით, სომხეთში ჩამოყალიბდა, რომელმაც 2.09 ქულა მიიღო.

ორივე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველომ და ყირგიზეთმა მედიის თავისუფლების სფეროში მათთან დაკავშირებული იმედები ვერ გაამართლეს. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს რეიტინგი ფაქტობრივად არ შეცვლილა: 2001 წელს - 1.82 ქულა, ხოლო 2011 წელს — 1.85 ქულა. ყირგიზეთის შესაბამისი მაჩვენებელი ანალოგიურ პერიოდში ოდნავ გაიზარდა — 1.29-დან — 1.66-ქულამდე. IREX-ის სპეციალისტების აზრით, ამ რეიტინგების თანახმად, მედია-გარემო საქართველოსა და ყირგიზეთში შეიძლება, „არამდგრადი შერეული სისტემების“ კატეგორიას მივაკუთვნოთ. სერბეთსა და უკრაინაში, სადაც ასევე მოხდა „ფერადი რევოლუციები“, გაუმჯობესების ძალიან მოკრძალებული ნიშნები დაფიქსირდა.

**„რამდენიმე ქვეყანამ, სადაც ფერადი რევოლუციები არ მომხდარა, გაუსწრო ან როგორც მინიმუმ, დაეწია თავის იმ მეზობლებს, სადაც ასეთი რევოლუციები მოხდა“,** — ნათქვამია IREX-ის კვლევაში. მაგალითად, ბოლო ათი წლის განმავლობაში მედია-კლიმატი ტაჯიკეთში ყირგიზეთთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, უკეთესი მაჩვენებელი აქვს ყაზახეთსაც. დროის იგივე მონაკვეთში სომხეთის რეიტინგმა საქართველოს რეიტინგს გაუსწრო.

**„უშუალოდ რევოლუციის შემდეგ ერთგვარი ძვრები შეიმჩნეოდა, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ ამ რევოლუციას გრძელვადიანი ზემოქმედების ეფექტი არ ჰქონია. პოსტგარდამავალი პერიოდის ქვეყნებში მედია ქაღალდზე, სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორც წესი, კარგადაა დაცული, მაგრამ პრაქტიკაში ეს კანონები იგნორირებულია“,** — აცხადებს „მედიის მდგრადობის ინდექსის“ რედაქციის ხელმძღვანელი **ლეონ მორზე.**

მისივე თქმით, მედიაში პოზიტიური კლიმატი დიდწილად ქვეყანაში ძლიერ დამოუკიდებელ სასამართლო სისტემასა და წარმომადგენლობით ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რომლებიც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ კანონების დაცვას უზრუნველყოფენ, თუმცა არც საქართველო და არც ყირგიზეთი ამ კრიტერიუმებს არ პასუხობენ.

**„საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ქვეყანაში პრესის და სიტყვის თავისუფლებას საკმაოდ კარგად იცავს, თუმცა მედია-გარემოსთან დაკავშირებული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ნორმებს და დადგენილებებს ხშირად თავად ხელისუფლება არღვევს. მთავრობა, რომელიც ცდილობს საინფორმაციო სივრცის გაკონტროლებას, ამისთვის როგორც ლეგალურ, ასევე არალეგალურ და ფინანსურ მექანიზმებს იყენებს“,** — აცხადებს პროექტ InterMedia-ს მენეჯერი ანასტასია მირზოიანცი.

**ცნობისთვის: „მრგვალი მაგიდის“ სხდომა სახელწოდებით „გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოთა გაკვეთილები: თავისუფალი მედიის გამოწვევები ევროპასა და ევრაზიაში“, დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალური ფონდის (NED) მიერ იყო ორგანიზებული.**

## ინფორმაცია

### ივლისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 99.4 მლნ დოლარი შეადგინა

**2011 წლის ივლისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 99.4 მლნ აშშ დოლარი, ანუ 165.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18.4 მლნ აშშ დოლარით (16.3 მლნ ლარით), ანუ 22.7 პროცენტით მეტია 2010 წლის ივლისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

**ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ამ პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა რუსეთიდან (10.5 მლნ აშშ დოლარით), საბერძნეთიდან (2.7 მლნ აშშ დოლარით, ანუ 3.8 მლნ ლარით), იტალიიდან (2.5 მლნ აშშ დოლარით, ანუ 3.5 მლნ ლარით), ინდოეთიდან (1.2 მლნ აშშ დოლარით, ანუ 1.9 მლნ ლარით), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან.**

**2011 წლის ივლისში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.8 მლნ აშშ დოლარი (11.3 მლნ ლარი) გადაიგზავნა, გასული წლის ივლისში კი 6,3 მლნ დოლარი.**

### მიმდინარე წელს კახეთში ხანძრის 518 შემთხვევა აღირიცხა

**კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ამ მხარეში წლეულს 518 ხანძრის შემთხვევა იყო, მათგან თელავში 144, გურჯაანში — 128 ლაგოდეხში - 56, საგარეჯოში — 51, სიღნაღში — 43, ახმეტაში — 41, დედოფლისწყაროში — 37 და ყვარელში — 27.**

**სახანძრო — სამაშველო სამსახურების უფროსების თქმით, ხანძრის შემთხვევების უმრავლესობა დაუდევრობით იყო გამოწვეული. მაგალითად, დედოფლისწყაროს რაიონში 37-დან 28 შემთხვევა მოსავლის აღების დროს მოხდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჭირი დანახული ჯობს

# „სახეზეა ქართული უნაყოფობის ნათელი

**დღეს უკვე აშკარაა, რომ ვაიფილოსოფოსმა თუ ვაიისტორიკოსმა ვაიყორანაშვილმა (ლაპარაკია გამოუსწორებელ ავყია ინტრიგან გურამ ყორანაშვილზე) თავისი გვარის „პოპულარობით“ ბევრად გადააჭარბა ედგარ პოს ცნობილი „ყორნის“ პოპულარობას, ოღონდ, ცხადია, ავბედითად...**

**იმისთვის, რომ თემასთან უფრო ახლოს მივიდეთ, ამბავს ცოტა შორიდან დავიწყებთ.**

**ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა საერთო სათაურით — „ტერორიზმი მეცნიერებაში“ ცალკე წიგნად გამოსცა თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა მძაფრად კრიტიკული წერილების კრებული, სადაც მაღალმეცნიერულ დონეზე მხილებულია ამ ცრუქლაქუნა ვითომ ფილოსოფოს-ისტორიკოსის სამეცნიერო ტერორიზმიც, ყვარყვარიზმიც და, ბუნებრივია, პროფანობაც. კრებულში მოყვანილია ყორანაშვილის მხრიდან, როგორც ტერორიზმისა და ყვარყვარიზმის, ისე პროფანაციის უამრავი მაგალითი (ეს ყველაფერი მერე მან უკვე სხვებს დააბრალა და თავისი ჭორის გუდა კრებულების სათაურებად გამოიყენა).**

ლიტონი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, მეტი თვალსაჩინოებისთვის მცირედ მოვიყვარგებ იმ 17 თვალსაჩინო მეცნიერის აზრს, რომლებიც წლების მანძილზე ვერცრა კეთილი ვერ შეასმინეს ყორანაშვილის ოდიოზურ პიროვნებას და მიაჩნიათ, რომ „ყორანაშვილიზმი“ ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესსა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოუყალიბებლობის ვითარებაში ერთობ საშიში ტენდენციების მატარებელია. **„ეს არის უნიჭობისა და არაპროფესიონალიზმის შეტევა ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმზე, ამბიციურობის ბრძოლა ჭეშმარიტი, თავმდაბალი მეცნიერის წინააღმდეგ. თვითრეკლამისა და თვითდამკვიდრების ულირსი მეთოდოლოგია, რაც ჩვენში თანდათან იდგამს ფესვებს და იყრის ყლორტებს“...** ამ მეცნიერთა აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ხვალ მან წარმოადგინოს **„პუბლიკაცია-გამოკვლევა“**, სადაც ეწერება, რომ დედამიწა ბრტყელია, მტკვარი შავ ზღვაში ჩაედინება, თბილისი ბრაზილიის დედაქალაქია, ხოლო თვითონ ყორანაშვილი ეთიოპიის იმპერატორია.

და სრულიად ბუნებრივად ისმის ამ მეცნიერთა ასეთი დასკვნა: **ხუმრობა იქით იყოს და, ბატონებო, იქნებ დააკვირდეთ ყორანაშვილის მსჯელობას, მისი არგუმენტების არსენალს, „ლოგიკის“ ულოგიკობას, მტკიცებების აბსურდულობას და, რაც მთავარია, წრეგადასულ ამბიციურობას და განდიდების აშკარა მანიას და, ბოლოს, ეს ყველაფერი რამეზე ხომ არ მიგვანიშნებს?**

მიგვანიშნებს, როგორ არ მიგვანიშნებს, ჩვენც ავდგეთ და ამ მცირე საგაზეთო შენიშვნის ფარგლებში დავაკვირდეთ ყორანაშვილის „ლოგიკის“ ულოგიკობას...

არახალია, ძველი ამბავია, რომ უკვე მრავალი წელიწადია, რაც ყორანაშვილი **„არაფრად აგდებს და შეგნებულად აკნინებს ჩვენი სასახელო მეცნიერების: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი წერეთლის და მეტადრე გიორგი მელიქიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას“.**

იგი ხელაღებით უწუნებს ნაღვაწს და, ის კი არა, თვით **„ნიცშეს, შპენგლერისა და ეგზისტენციალური ფილოსოფიის“** თვალსაზრისით, ჭკუასაც არიგებს ისეთი დარგების ყველაზე გამოჩენილ სპეციალისტებს, როგორი დარგებიც არის ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ელინიზმი, ბიზანტინოლოგია, საისტორიო გეოგრაფია, მედიევისტიკა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ახალი და უახლოესი ხანის ისტორია.




ყორანაშვილის პროფანობის, ანუ, ქართულად თუ ვიტყვით, უმეცრების, ყვარყვარიზმისა და ტერორიზმის მართლაც იგავმიუწვდომელი მაგალითია ის თავიდან ბოლომდე საზიზღარ ჭორებზე აგებული პასკვილი, რომელიც მან მსოფლიოს ცნობილ ურარტოლოგს, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს გამოუქვეყნა, და როგორც ნამდვილმა ტერორისტმა და ჯალათმა სიცოცხლე გაუმწარა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და სიკვდილი დაუჩქარა.

როგორც იტყვიან, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, თვითონ პლაგიატორმა ყორანაშვილმა პლაგიატორობაში დასდო ბრალი გიორგი მელიქიშვილს, რომელსაც ვითომ საქართველოში მოღვაწე, 1943 წელს გარდაცვლილი რუსი მკვლევარის პეტრე უშაკოვის გამოუქვეყნებელი ნაშრომი მიითვისა (პ.უშაკოვის ქვრივი შესჩიოდა ნაცნობებს, გიორგი მელიქიშვილმა ჩემი ქმრის ხელნაწერები წაიღო და აღარ აბრუნებსო!).

ნათქვამი რომ არის, წინასწარ მომჩივანი ბატონს მართალი ეგონაო, ახლა ეს ხერხი იხმარა სამეცნიერო ტერორიზმში გაწვრთნილმა ყორანაშვილმა და თავადვე გახდა იმის ინიციატორი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას ჩამოეყალიბებინა კომისია, რომელიც გამოარკვევდა ყორანაშვილის ბრალდებათა საფუძვლიანობას. და აქ მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო: კომისიამ სრულად ამხილა ყორანაშვილის ბრალდებათა აბსურდულობა, უსაფუძვლობა და ცილისმწამებლობა. კომისიის დასკვნაში თვალნათლივ ჩანდა, რომ **„აღმოსავლეთმცოდნეობაში, ისევე როგორც ბევრ სხვა დარგში, რომელსაც ყორანაშვილი ეპოტინება, არაფერი არ გაეგება“** და, ბოლოს, იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ **„აბსოლუტური პროფანია“** (ძველაღმოსავლური მეცნიერების, განსაკუთრებით კი ლურსმული დამწერლობისა და ურარტოლოგიის სრული უცოდინარი ვარო!). მანვე ფაქტობრივად აღიარა, როგორ შეთხზა ჭორი თითქოს აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ოჯახში გიორგი მელიქიშვილს პლაგიატორად მოიხსენიებდა. აღიარა, რომ ქართულ წერა-კითხვაში გვარიანად მოიკოჭლებს (სამაგიეროდ, ვითომ რუსული „ეხერხება“ და კომისიის მიერ რუსულიდან გადმოწერილი უაზრობები თურმე მხოლოდ კორექტურული შეცდომებია!).

ერთი სიტყვით, ხსენებული კომისიის მიხედვით, ყორანაშვილმა ვერც აკადემიკოს გ.მელიქიშვილის პლაგიატორობა დაამტკიცა და ვერც პ.უშაკოვის დიდი მეცნიერობა. სამაგიეროდ მან მთელი სიცხადით წარმოაჩინა საკუთარი არაკომპეტენტურობა და დილეტანტიზმი, ანუ როგორც თვითონ უყვარს თქმა, **„პროფანაცია მეცნიერებაში“**. არადა, პროფანისგან პროფანაციის გარდა, რას უნდა ველოდოთ?! ანუ მგლისა ბატკანი ვის უნახავს?!



და კიდევ ერთი. მორიელი რის მორიელია, თუ ბოლომდე არ დაგესლა ადამიანი. რახან აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი პლაგიატორი არ გამოდგა, ყორანაშვილმა ახალი ჭორი შეადგინა — ურორტოლოგია ნიღბად ჰქონდა აფარებული, გიორგი მელიქიშვილი სუკის აგენტი იყოო (ის გიორგი მელიქიშვილი, რომელმაც **„მძიმე პიროვნული თვისებებისა გამო“** ყველასგან შერისხული ეს **„ყორანაათ ბიჭი“** ინსტიტუტშიც მიიღო, სადოქტოროც დააცვევინა და გვერდშიც ამოიყენა!).

აქ ჩემდა უნებურად ვაჟა ფშაველა წამომაგონდა: **რამდენი ავსული ვიცი, წარბშეუხრელად დადიანო.**

უთუოდ მართალს წერენ **„ტერორიზმი მეცნიერებაში“** კრებულის ავტორები, რომ ასეთ ხვად სიცრუეში ამდენი მხილებისა და იძულებითი აღიარების შემდეგ ყველა ნორმალური ადამიანი სირცხვილით დაიწვებოდა და კარგა ხანს საზოგადოებაში გამოჩენასაც კი მოერიდებოდა, მაგრამ ყორანაშვილი ასეთ ნორმალურ ადამიანთა რიცხვს ნამდვილად არ ეკუთვნის. ტერორისტი, მით უმეტეს ყორანი ტერორისტი, ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებს...

ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი დირექტორის, ავსული თანამშრომლისგან სიცოცხლეგამწარებული თუ იქნებ სიცოცხლემოსწრაფებული გიორგი მელიქიშვილის შემდეგ ამ ფრიად პატივსაცემი ინსტიტუტის დირექტორის სავარძელში ასევე ფრიად პატივსაცემი აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი აღმოჩნდა, რომლის **„უბადრუკი სამეცნიერო და მორალური ავლადიდება“** უმალ ვიწრო თვალში არ მოუვიდა მეცნიერების ღვთაებისთვის მსხვერპლშეწირვის **„დიდოსტატ“** ყორანაშვილს, ამჯერად უკვე **„საისტორიო გეოგრაფიის დარგის სპეციალისტს“**. რაც თავისი საეჭვოდ მოკლე ჭკუით წინა დირექტორს დააკლო, მან ახლა ახალი დირექტორისკენ მიმართა მთელი **„ისტორიულ-გეოგრაფიული ცოდნის არტილერია“** და უფრო სწორად, მისთვის აგრერიგად ჩვეული და სისხლხორცეული **„ხვადი ჭორების არტილერია“**. ეგაო დიდი ვინმე არ გეგონოთო, მეცნიერებათა დოქტორი რის ვაივაგლახით გახდაო. **„ვაკში“** რომ გამოიძახეს და დისერტაციის ირგვლივ კითხვები დაუსვეს, პასუხი ვერც ერთ კითხვას ვერ გასცა, მაგრამ დისერტაცია მაინც დაუმტკიცეს, რადგან ავტორი შეეცოდათ ამდენი ჭაპანწყვეტის გამოო. აქ, ბუნებრივია, ამ სტრიქონების წამკითხველს მაშინვე უჩნდება აზრი: ეს ყველაფერი რა იცის ყორანაშვილმა, **„ვაკის“** სხდომას ხომ არ ესწრებოდაო. და **„ყორანაათ ბიჭს“** პასუხიც მზადა აქვს: **„ამას მოგახსენებთ ყურმოკვრით კი არა, არამედ, როგორც ივანე ჯავახიშვილი იტყოდა, თანადამხდურთა (თვითმხილველთა და უშუალო მომსწრეთა) დამოწმებით.** ხედავთ, ხელად დიდი ივანე ჯავახიშვილიც მოიშველია და **„თანადამხვდურნიც“** ამოიყენა გვერდით, როგორც გიორგი მელიქიშვილის წინააღმდეგ პეტრე უშაკოვის ქვრივის მოხუცი მეზობელი ქალბატონები, რომელთა ჭორის ბოხჩებისთვის თავადვე აგროვებდა უმწეო ჭორჩიტებს.

რახან ჭორის ბოხჩაზე და ჭორჩიტებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე უნდა გავუხსენოთ ამ ჩვენს პოლიტიკურ მოდას აყოლილ (ხომ უნდა ჩანდეს, რომ თანამედროვე ანტიკომუნისტი მეცნიერია!) ავგულა **„ყორანაანთ ბიჭს“** კიდევ ერთი აკვიატებული თემა, რომელიც კარგა ხანია არ ასვენებს, და სულ **„ცოცხლად სანსლავს“** უკვე წინასწარ ავად დაკორტნილ თავის მოწინააღმდეგე **„მართლმორწმუნე კომუნისტებსა და სტალინისტებს“**, რომელთაც არა და არა სურთ თავში გაივლონ **„აზრიც კი იმის შესახებ, რომ ილიას მკვლე-**

## მხოლოდ ერთი, მაგრამ მრავლისმეტყველი მაგალითი...

**ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. აღნიშნულ სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის შესახებ“. დამსწრეთა უკმაყოფილება გამოიწვია აშკარა ცინიზმმა და ირონიულმა ტონმა, რითაც მომხსენებელი ჩვენ წინამორბედ მკვლევარებს, მათ შორის ივ.ჯავახიშვილს და სხვებს ამკობდა იმის გამო, რომ მათ სწორად ვერ განსაზღვრეს აღნიშნული ბრძოლის ადგილმდებარეობა.**

მაგრამ მთავარი მათ წინ ელოდათ: თავისი გამოსვლით კმაყოფილმა, სახელგაბრწყინებულმა მომხსენებელმა, აუდიტორიას ამაყად მოავლო თვალი და ის იყო ყელმოღერებული ტრიბუნიდან ჩამოსვლას აპირებდა, რომ ადგილიდან წამოდგა ცნობილი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე და ისტორიკოსი, პროფესორი კარლო ტაბატაძე და „გამარჯვებულ“ ორატორს დელიკატურად შეეკითხა — გამოყენებული ჰქონდა თუ არა მას გივი იმერლიშვილის გამოკვლევა, რაზეც მომხსენებელმა, რამდენადმე იხტიბარგატეხილმა, უპასუხა, რომ ასეთი გამოკვლევის არსებობა მისთვის უცნობია, რასაც კ.ტაბატაძის რეაქცია მოჰყვა — როგორ არ იცოდი, მე თვითონ გითხარიო. ამაზე მომხსენებელმა რაღაც წაილუღლუღა და ტრიბუნა დატოვა.

ერთი სიტყვით, გამოაშკარავდა, რომ ასეთი რიხით წაკითხული მოხსენება მთლიანად გადმოღებული იყო ხაშურის რაიონის გაზეთ „ალიონის“ 1990 წლის 17 ივლისის ნომერში მოთავსებული გ.იმერლიშვილის წერილიდან „შინდარის ბრძოლა“.

ეს მომხსენებელი, ანუ ხაშურის მუზეუმის თანამშრომლის გამძარცველი-პლაგიატორი, გახლდათ მეცნიერული ეთიკისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი, გურამ ყორანაშვილი (მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, საიდან ჩაუვარდა ხელში პლაგიატორს ხაშურის გაზეთი, ამიტომ ვაცნობებთ, რომ ყორანაშვილი ხაშური-ბორჯომის მკვიდრია. აქვე მოვახსენებთ, რომ რადგან მისი ოინები გამოაშკარავდა, პლაგიატორმა მოხსენების პირვანდელი სახით გამოქვეყნება ვეღარ გაბედა, მას სათაური შეუცვალა („ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის გარკვევისთვის“) და ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ფორმით გამოაქვეყნა, სადაც იძულებული გახდა ეღიარებინა აღნიშნული საკითხის გარკვევაში გ.იმერლიშვილის პრიორიტეტი.

აი, ვის აქვს საქართველოს პირველი ისტორიკოსის პრეტენზია. აი, ვინ იბრძვის ამდენი ხნის მანძილზე იმისათვის, რომ ჭეშმარიტად დიდ ქართველ მეცნიერს ტალახი ესროლოს და ყოველგვარი უმსგავსობა (მათ შორის პლაგიატორობა) დააბრალოს. აი, ვის წარმოუდგენია თავი ქართული მეცნიერების სინდისად და მისი განვითარების მიმართულებების განმსაზღვრელად!

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელი და გარკვეულია; **გასარკვევი მხოლოდ ის არის, თუ სადამდე გაგრძელდება საეჭვო მორალისა და ზნეობის, ვაიმეცნიერის აულაგმავი ჯირითი ქართული გაზეთების ფურცლებზე? როდემდე უნდა უცქიროს ქართველმა საზოგადოებამ გულგრილად ყორანაშვილის შეუნიღბავ ტერორს ქართველი ისტორიკოსების წინააღმდეგ?**

**წიგნიდან — „ტერორიზმი მეცნიერებაში“.**

№ 153. ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 2011 წელი.

ლობა ორგანიზებული იყო ქართველი ბოლშევიკების მიერ (მეფის „ოხრანკა“ — ჟანდარმერიასთან კოორდინირებული მოქმედებით)“. არადა, ილიას მკვლელობის ნაკვალევი, შესაძლოა, თურმე ვლადიმერ ლენინის, ნიკოლოზ II-ისა და პეტრე სტოლიპინისკენაც კი მიდიოდეს...

„პროფესიონალი ისტორიკოსი“ ღრმად დარწმუნებულია, რომ „პრობლემა უნდა გადაიჭრას შესაბამისი ფაქტების მოძიებითა და აზროვნების უფრო მაღალ დონეზე“. ჩანს, ამ თავისი „აზროვნების უფრო მაღალი დონის“ ჩვენების მიზნით ერთ-ერთ უმთავრეს მოწმედ ყორანაშვილი იშველიებს ვინმე ჯურუყვეთელ ფუცუნია ბებიას, მაჭავარიანს, რომელიც 1905 წლის ამბავს 1954 წელს იხსენებს (როგორც „სერიოზული პიროვნება ვახტანგ გურგენიძე გადმოგვცემს“!ძ, და „ცნობილი ნოე რამიშვილის დისშვილს, მენშევიკ შალვა ბერიშვილს, რომლის ნაამბობის მიხედვით, 1911 წელს სერგო ორჯონიკიძეს ვითომ ლენინისთვის ლონჟიუმოში უთქვამს, რომ „1907 წელს პარტიის დავალებით იძულებული იყო, გარეულიყო ერთი ცნობილი მწერლის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში. ამასთან დაუსახელებია,




ნით აფასებს: „ფრიად სერიოზული საკითხისადმი ალექსანდრე შუშანაშვილის მიდგომას ადგილი აქვს ვიწროსპეციალური თვალთახედვით. ამ შემთხვევაში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო ისეთი ფართო ერუდიცია და აზროვნება, როგორიც იურისტებიდან, ვთქვათ, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ან სერგო ჯორბენაძეს გააჩნდათ“.

ისე, მართალი თუ გინდა, ჩვენო „ყორანაანთ

მე შენ გეტყვი, დღეს „ნაირ-ნაირი ჭორების ბოხჩებს“ ვერ გამოსცემ თუ რა!ძ. რაც შეეხება ამ წერილში ზემოთ ხსენებულ „ტერორიზმს მეცნიერებაში“ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ჩვენი რედაქციის ბიბლიოთეკაში...

ასე რომ, წერილის სათაურიცა და ქვესათაურიც შენივე წიგნუკებით არის ნაკარნახევი.

შენს ორივე წიგნუკაზე თუ „ჭორების ბოხჩაზე“, მთელი გულწრფელობით უნდა ითქვას, შენივე სიტყვებით, რომ მართლაც „სახეზეა უახლოესი ქართული აზროვნების უნაყოფობის ნათელი ნიმუში“.

ბევრი რამ, რასაც წერ, ზოგადადაც მართალია და, უწინარესად, მართალია თვითონ შენ მიმართ. აი, მაგალითად, შენზეა ზედგამოჭრილი: „კარგად მოგეხსენებათ, რომ ყვარყვარეობა უპირველესად გახლავთ რიგითი ან საშუალო დონის პირთა ამბიციური სწრაფვა — საზოგადოებაში დაიკავონ ის ადგილი, რაც იმათ არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნით“ (ის კი არა, შენ ერთხელ პარლამენტარიც აღმოჩნდი!ძ.

ანდა: თურმე ისიც საკითხავია, როგორი ფილოსოფოსი ხარ.

ან კიდევ: ოპონენტების აზრით, ვერა და ვერ ამაღლდი ისტორიკოსობამდე...

იმასაც უთუოდ მართალს ამბობ, რომ თავხედობა-უტიფრობა და, მასთანავე, უმეცრება აუცილებლად უნდა დაისაჯოს. მაგრამ დამსჯელი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ არ ჩანს. რატომღაც ბევრი გერიდება როგორც ნეხვიან ჯოხს, რადგან „სრულყოფილად ფლობ მოწინააღმდეგის სახელის გატეხის ხელოვნებას, კერძოდ, უამრავი დამამცირებელი იარლიყის მიწებებას“ (ეს შენი ორივე „ჭორების ბოხჩა“ ამის თვალადსაჩენი მაგალითია!ძ.

უტიფრობა, ბუნებრივია, გარკვეულწილად გაბედულებასთანაც არის დაკავშირებული. შენი მხრიდან ნამდვილად გაბედულება იყო, როცა ერთხელ ერთი კომისიის მიერ უკვე შერცხვენილმა და გამტყუნებულმა, ასეთი წინადადება წამოაყენე: „შეიქმნას ნეიტრალურად, ობიექტურად განწყობილი ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისგან (ტექსტოლოგებისგან) კომისია და ჩემი და დავით მუსხელიშვილის თანდასწრებით გამოიტანონ ვერდიქტი. თუ გავმტყუნდები, საჯაროდ, Urbi et orbi, ყველას გასაგონად ვიტყვი უარს დოქტორის ხარისხსა და პროფესორობაზეო“...

# „აზროვნების ნიმუში“,

## ანუ ყვარყვარიზმი და ტერორიზმი მეცნიერებაში და მეცნიერების პროფანაციის მაგალითები



რომ ეს მწერალი იყო რეაქციონერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი“ (გაზეთი „ერთობა“ № 4ძ. ეს რომელიმე ძველი გაზეთი არ გეგონოთ, 1991 წლის ერთ-ერთი ნომრიდან ამოღებულ მასალაზეა ლაპარაკი. ხედავთ, როგორ არქივთა შიგნიშიგან ეძებს სიმართლეს „ჩვენი პროფესიონალი ისტორიკოსი“.

და დასკვნაც მზად არის: „ერთი სიტყვით, ილიას მკვლელობის ორგანიზებასა და აღსრულებაში ს.ორჯონიკიძისა და ფ.მახარაძის საზიზღარი როლი უეჭველი გახლავთ. რაკი ასეა, არ დავსვათ საკითხი ამ ბინძურ საქმეში იოსებ ჯუღაშვილის თანამონაწილეობაზე?“

არადა, ამ თავისი ისტორიული „კვლევის“ ორი-სამი აბზაცის ზემოთ „ყორანაანთ ბიჭი“ ვიწრო შუბლზე გაფარჩხულხელმიდებული ბრძანებს: „ისტორიკოსებს გვიწევს უამრავი ახალი საისტორიო წყაროს გამოვლენა, შესაბამისი ფაქტების დადგენა, მათ შორის მიმართებების დამყარება, ინტუიციისა და ლოგიკის მოხმობა, რათა გავერკვეთ მოვლენათა ლაბირინთში“.

როგორ ფიქრობ, ძვირფასო მკითხველო, ეს დღემდე გაურკვეველი ფილოსოფოსი თუ ისტორიკოსი ვითომ რაიმე ახალ საისტორიო წყაროებს ავლენს? (უამრავს რომ თავი დავანებოთ!ძ რაიმე შესაბამის ფაქტებს ადგენს? ამ ფაქტებს შორის რაიმე მეცნიერულ მიმართებებს ამყარებს? ანდა საერთოდ ლოგიკისა და ინტუიციის ნატამალი გააჩნია და საერთოდ ერკვევა მოვლენათა ლაბირინთში? თუ მარტო თავის მრავალგზის მეტიჩრობაშერჩენილ ცხვირსა ყოფს ამ მოვლენათა ლაბირინთში?

რაც შეეხება, ამ საეჭვო ფილოსოფოს-ისტორიკოსისგან განსხვავებით, მართლაც დიდად თვალსაჩინო პრაქტიკოს იურისტს ალექსანდრე შუშანაშვილს, რომელმაც მრავალწლიანი ნამდვილად ღრმად პროფესიული კვლევა-ძიების შემდეგ ჯერ 1996 წელს „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ ხოლო 2000 წელს „წიწამურის ტრაგედია“ გამოსცა და, ძალიან ბევრი სპეციალისტის აზრით, უთუოდ დამაჯერებელი აზრი გამოთქვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე, ყორანაშვილი აგრე ჩვეული პროვინციულად დამამცირებელი ტო-

ბიჭო“, და თვითმარქვია „პროფესიონალო ისტორიკოსო“, ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და სერგო ჯორბენაძის ფართო ერუდიცია და აზროვნება ჰაი, ჰაი რომ არც შენ გაწყენდა, ხოლო თუ იმათსას გიორგი მელიქიშვილის, დავით მუსხელიშვილის და თუნდაც ალექსანდრე შუშანაშვილის ფართო ერუდიცია და აზროვნებაც დაემატებოდა, როგორც იტყვიან, ბიჭი იქნებოდა კლაპიტონისა... ახლა კი რაცა ხარ, ეგა ხარ და როგორც შენ გამო დაწერილი „ტერორიზმის“ ავტორები წერენ, „შენგან მოხმობილი ყველა „არგუმენტი“ თითიდან გამოწოვილი და საკმაოდ უღიმღამოდ მოწოდებული ზღაპრების გროვაა, რაც მხოლოდ შენს ულოგიკობასა და უნიჭობას ამტკიცებს...“

* * *

სხვათა შორის, ღმერთი რჯული, სულ არ ვაპირებდი ამ წერილის დაწერას (მით უმეტეს, რომ ადრეც ერთი-ორჯერ უკვე შევეხმაურე ამ ჩვენს აგრერიგად ახირებულ „პროფესიონალ ისტორიკოსს“ თუ „ფილოსოფოსს“!ძ, მაგრამ, რა ვქნა, შენ მაიძულე ჩვენო „ყორანაანთ ბიჭო“, როცა ამას წინათ ერთი ჩვენი საერთო ნაცნობის ხელით რედაქციაში შენი ბოლო წლებში დაწერილი „აღნაქვსების“ ცრუმეცნიერული კრებულები გამოგზავნე — „ყვარყვარიზმი მეცნიერებაში“ და „მეცნიერების პროფანაციის მაგალითები“ (თუ ფული გაქვს,

პირველისა არ იყოს, ვერც მეორე კომისიამ გაგლუნა“... ანუ, შენივე სიტყვებით თუ ვიტყვით, შენ არა ხარ „ის პირი, ვინც იხტიბარს გაიტეხს და ლოგიკის, არგუმენტების წინაშე გაჩუმდება“.

მით უმეტეს, შენი დიაპაზონის „პროფესიონალს“ რა ძალა გააჩუმებს?!

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ ვახერხებდი ბორჯომში ჩასვლას, იქა მაქვს გაგონილი: ერთი უნამუსო ცხენზე იჯდა და ფეხებს ატყაპუნებდაო. გზადაგზა ვიღაცვიღაცები აფურთხებდნენ, ის კი იძახდა, ეს რა კარგი წვიმა მოდისო...

შენ მგონი, ბორჯომელი ხარ და იქაური ანდაზები თუ სიტყვის მასალები ჩემგან ნამდვილად არ უნდა გესწავლებოდეს.

ისიც უთუოდ ჩემზე კარგად გეცოდინება, რომ თუ თეთრად შეილებება, თორემ ქვიშით ხეხვა უძლური ხერხია ყორნის გასათეთრებლად... მაგრამ სხვა რა გზაა, დროდადრო მაინც უნდა გხეხოთ... რაკი ცდა ბედის მონახევრეა... თუმცა, შენგან კეთილშესმენის იმედი დიდად მაინცდამაინც არა მაქვს...

**გურამ გოგიაშვილი.**

***P. S.* *ნათქვამი რომ არის, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო, სწორედ ასეა ამ ჩვენი წიგნიერებანაკლული „ისტორიკოს-ფილოსოფოსის“ საქმე. თითქმის მთელი ცხოვრება ისე მოდის, ერთი კარგი ქვა არ დაუნახავს, რომელსაც ასევე რაღაც კარგის მშენებლობაში გამოიყენებდა. თუმცა „კარგი რამ“ გ.ყორანაშვილისთვის არ არსებობს. კარგი და „ჭკუის კოლოფი“ მარტო თვითონ არის, რომელიც თუნდაც ქვეყნის ტრაგიკულ წარსულში სიმართლეს კი არ ეძებს, არამედ მარტოოდენ განაქიქებს და შეაჩვენებს. ვითომ ძველ მითებს ამხელს დაააშკარავებს, სინამდვილეში კი თავის საკუთარ ზღაპრებს ქმნის და ურცხვად უჭედავს ისედაც ამჟამინდელი დუხჭირი ცხოვრებისგან შეღონებულ ადამიანებს „ათუხთუხებულ“ თავებში. ცნობილი გამოთქმაა: ვინც წარსულსა ფლობს, აწმყოსაც ის აყალიბებსო. ჩვენი ქვეყნის აწმყო რაც არის, ყველა კარგად ვხედავთ. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ რატომ ექცევიან აგრერიგად ჩვენი გუშინდელი დღის ყორანაშვილისთანა ბიოლოგიური მოძულენი ჩვენს წარსულსა და იმ ადამიანებს, ვისაც იმხანად უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ვაი რომ ასეთი ანტიისტორიული მიდგომა დღეს თითქმის სახელმწიფო პოლიტიკად არის ქცეული და ვაი რომ ამ ანტიისტორიული და ანტიეროვნული პოლიტიკის ანგარებიან მხარდამჭერ ეგრეთ წოდებულ ექსპერტთა შორის ეს ჩვენი „ყორანაანთ ბიჭი“ ობლად არ გამოიყურება.***

***გ.გ.***

## ◉ ცოტნეობა – 2011



# დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა...

**ყოველ ერს აქვს რაღაც ამაღლებული — ლეგენდა, მითი თუ ნამდვილი ამბავი, რომელსაც დღესასწაულად აქცევს ხოლმე, გამოარჩევს ყველასა და ყველაფრისგან, რადგან მასში მიწიერ საწყისთან ერთად არის უფრო მიუწვდომელი, მარადიული და გასაფრთხილებელი... ასეთ დღესასწაულებს მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოში „დიდგორობა“ და დასავლეთში — „ცოტნეობა“, რომელიც ერთდროულად, ერთ დღეს 12 აგვისტოს აღინიშნება. სახალხო დღესასწაულები მართლაც არ გვაკლია; ყოველ კუთხეს თავისი წარსული ეამაყება და ცდილობს აცოცხლოს იგი, როგორც მარადიული, თანმდევი... სამეგრელოში უკვე ათ წელიწადზე მეტია ტრადიციად იქცა ჭყონდიდელ-ცოტნეობის დღესასწაული.**

**... და აი, ფოთის დელეგაცია — „ფაზისის“ საერო აკადემიის წევრები, აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით, მივემგზავრებით ხობში ცოტნეობის დღესასწაულზე. მანამ კი გვირგვინით შევამკეთ ცოტნე დადიანის დიდებული ძეგლი სამეგრელოს მოედანზე.**

**ისტორიამ არაერთგზის დაგვარწმუნა, რომ ქვეყნის უბედურების სათავე რწმენის უგულებელყოფაა. ჭეშმარიტი რწმენის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ეროვნული სხეულის გამოვლინება!.. ამ ფიქრებით მივუახლოვდით ხობის უძველეს მონასტერს და მუხლი მოვიყარეთ ცოტნე დადიანის საფლავთან. როგორც შარშანდელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ოქრომკედით ნაქარგმა მოსასხამმა დაგვარწმუნა, ჩვენი დიდი წინაპარი განისვენებს სწორედ იმ კედლის ქვემოთ, რომელსაც საუკუნეებია ამშვენებს მისი ოჯახისავე ფრესკა...**

**მთავარი ღონისძიება ხობის კულტურის სასახლეში გველოდა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ხობის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ბეჟან ნადარაია. მსახიობებმა წარმოადგინეს ცოტნეს ცხოვრების ამსახველი სპექტაკლი, ცოტნე დადიანის დამსახურებაზე, ზნეობრივი გმირის უკვდავებაზე მოკლედ ისაუბრეს რაიონის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ, საერო აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ...**

**...შემდეგ სიტყვა მიეცა ახალგაზრდობას, სტუდენტობას, რომელიც ახალი ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობს. ჩვენ სულიერებას ვაშენებთო, — ასე თქვეს ბიჭებმა და ეჭვი არ არის, ისინი ახალ საქართველოს ჩაუყრიან საფუძველს, არ უღალატებენ ეროვნულ ტრადიციებს და მათზე დაყრდნობით ახალ ქვეყანასააშენებენ.**

**გამაფრთხილებელ შეგონებად კიდევ ერთხელ გაჟღერდა ფოთელი კომპოზიტორის ლეილა ლოლუას სიმღერა პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის ტექსტზე „დადეთ იარაღი, ბიჭებო!“, რომელიც ჩვეული ტრაგიზმით შეასრულა ასევე ფოთელმა მომღერალმა ნანი გუგუშვილმა.**

**მეორე დღეს დადიანების სასახლეს ვესტუმრეთ. ცნობილმა მხატვარმა გიორგი გეგეჭკორმა დადიანების მუზეუმს უსახსოვრა მხატრული ტილო გუბაზ მეფის გამოსახულებით. აქვე იყო მის მიერვე შესრულებული საქართველოს მეფეთა სხვა პორტრეტებიც.**

**აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის ცენტრში დღესაც დგას პიედისტალი, რომელიც დიდ ავტორს და შთამბეჭდავ ქანდაკებას ელოდება — ქუჯის და ფარნავაზის ძეგლი უთუოდ დაამშვენებდა აქაურობას...**

**ზურაბ აბრალავა,**
„სრ“ საკ. კორ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ონიშჩენკომ „ბორჯომი“ ეგების ისევ დაალევინოს რუსეთს

**რუსეთის სანიტარიული სამსახური არ გამორიცხავს ბაზარზე პოპულარული ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ დაბრუნებას.**

როგორც რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის საიტზე გამოქვეყნებულ პრეს-რელიზშია ნათქვამი, მის მისამართზე შემოვიდა საქართველოს მხარის ოფიციალური მიმართვა.

„ჩვენ ამჟამად მას ვსწავლობთ. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით გვეჩვენებინა, რომ თუ მოგვმართავენ, ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს ტექნოლოგიურ რეჟიმში“, – ნათქვამია რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს მიერ ინტერფაქსისთვის მიცემულ ინტერვიუში.

„ბორჯომის“ მიწოდებაზე აკრძალვა რუსეთში შემოიღეს მისივე განკარგულებით 2006 წელს წყლის სანიტარიული და საგემოვნო ნორმებისადმი შეუსაბამობის საბაბით.

თბილისში მის გადაწყვეტილებას მიიჩნევდნენ და ახლაც მიიჩნევენ ეკონომიკური ომის ნაწილად.

### „ბორჯომის“ სმა გვიანი არ არის

ონიჩშენკოს სიტყვებით, რუსი ექსპერტები აპირებენ შეხვდნენ „ბორჯომის“ მიმწოდებელ კომპანიას. „დაზუსტდება ამ ფირმის უფლებამოსილება, შევამოწმებთ პროდუქციის ხარისხს“, – განაცხადა მან.

„ბორჯომის“ გამოჩენა რუსეთში სავსებით შესაძლებელია, თქვა ონიშჩენკომ: „წინააღმდეგ შემთხვევაში, რისთვისღა ვხვდებით ერთმანეთს – უბრალოდ, რომ ვისაუბროთ? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არიან ისინი მზად სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობებისთვის“.

აკრძალვის შემოღებამდე რუსეთის ბაზარზე „ბორჯომის“ ექსპორტის დაახლოებით 50 პროცენტი მოდიოდა. სხვათა შორის, მთავარი სანიტარიული ექიმის აზრით, ამ წყლის მარკის უქონლობა რუსეთში მომხმარებლისთვის – „აბსოლუტურად არაკრიტიკული თემაა“.

ამავე დროს, როგორც ონიშჩენკო ამტკიცებს, ბელარუსი იყენებს საბაჟო კავშირს და რუსეთში არალეგალურად შემოაქვს „ბორჯომი“.

„ჩვენ დიდხანს ამის მოთმენა არ შეგვიძლია“, – თქვა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა და დაიმუქრა, რომ მიიღებს „მკაცრ ზომებს“.

### ქართულს აღარ ებრძვიან?

განკარგულებას „ბორჯომის“ აკრძალვის შესახებ გენადი ონიშჩენკომ ხელი მოაწერა 2006 წლის გაზაფხულზე, მალე ქართული ღვინის ქვეყანაში შემოტანის ანალოგიური აკრძალვის შემდეგ.

ფორმალური საბაბი გახდა წყლის ხარისხის ეტიკეტზე მითითებულთან შედარებით, სანიტარიული და საგემოვნო ნორმების მოთხოვნებთან შეუსაბამობა, აგრეთვე პროდუქციის მასობრივი ფალსიფიკაცია.

საქართველოში ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური უწოდეს. „სავსებით ცხადია, რომ რუსეთი დღეს ებრძვის ყოველივე ქართულს“, – განაცხადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, რომელმაც „ბორჯომს“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მინერალური წყალი უწოდა.

რუს კომპანიებსაც, რომლებიც თანამშრომლობდნენ ქართველ მიმწოდებლებთან, ონიშჩენკოს განკარგულება მიაჩნდათ გაუგებრობად, ზოგიერთი სპეციალისტი კი მიუთითებდა იმაზე, რომ იატაკქვეშა „ბორჯომი“ უმეტესწილად მოსკოვის გარეუბნებში მზადდებოდა.




ამჟამად მოსკოვი და თბილისი აგრძელებენ კონსულტაციებს რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის შესახებ. მოლაპარაკება ამ საკითხზე შეწყდა 2008 წელს, აგვისტოს ომამდე რამდენიმე ხნით ადრე.

ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება – ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომლებსაც თბილისი აყენებს.

BBC RUSSIAN.com

# რა იცოდა ამერიკამ 2008 წლისთვის საქართველოს სამხედრო გეგმების შესახებ?

**2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩაღებული ხუთდღიანი ომის მესამე წლისთავის წინა დღეებში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ინტერვიუ მისცა რუს და ქართველ ჟურნალისტებს, რომელშიც მრავალ თემას შეეხო: იმ მოვლენებიდან, რომლებიც წინ უსწრებდნენ საქართველოს თავდასხმას სამხრეთ ოსეთზე, მედვედევის შეხედულებამდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მომავალზე. პრეზიდენტი აგრეთვე შეეხო საკითხს იმის შესახებ, თუ რა იცოდა და რა არ იცოდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საბრძოლო გეგმების შესახებ.**

მედვედევმა აღნიშნა, რომ 2008 წლის ივლისამდე იგი და სააკაშვილი რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს და რომ საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ჩანს, სერიოზულად იყო დაინტერესებული, რომ მოწესრიგდეს კონფლიქტი საქართველოსა და მის ორ სეპარატისტულ პროვინციას – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს – შორის მოლაპარაკების გზით. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც თბილისში ჩამოვიდა იმ დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. მასთან შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა მკვეთრად შეწყვიტა მოსკოვთან ურთიერთობა.

რაისის საქართველოში 2008 წლის 9 ივლისის ვიზიტის აზრი კვლავ გამოცანად რჩება. ოფიციალურად იგი აპირებდა განეხილა საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივები, მაგრამ ამას გარდა მან გამოიყენა მინიჭებული შესაძლებლობა, რათა საჯაროდ ელიარებინა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“. ამავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები გვარწმუნებენ, რომ რაისმა გააფრთხილა სააკაშვილი, არ მოახდინოს რუსეთის პროვოცირება. ნუთუ ასეა ეს? თუ ეს მართლაც იყო ასე, მაშინ, პრაქტიკულად, იდეალურმა ინგლისელმა სააკაშვილმა, როგორც ჩანს, არ უღალატა მას.

შევნიშნავთ, რომ ფრთხილი და კომპეტენტური რაისი, უეჭველია, აშკარად არასოდეს ურჩევდა სააკაშვილს ძალით დაებრუნებინა სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს კონტროლის ქვეშ. მას არ სჭირდებოდა ასეთი რამ. ყველაფერი, რაც მისთვის აუცილებელი იყო – ეს არის შეახსენოს საქართველოს პრეზიდენტს, რომ ქვეყანა, რომელიც კონტროლს ვერ უწევს თავისი ტერიტორიის მეხუთედ ნაწილს, არ შეიძლება გახდეს ნატოს წევრი. ამრიგად, „ტერიტორიული მთლიანობის“ აღდგენა იქნებოდა აუცილებელი წინაპირობა ალიანსთან მიერთებისთვის. გონიერ და ყურადღებიან სააკაშვილს ყველაფერი დანარჩენი თავად შეეძლო მოეფიქრებინა. ქალბატონი სახელმწიფო მდივანი ამის შემდეგ თავისუფლად შეიძლებოდა დაბრუნებულიყო ამერიკაში და არ მიექცია ყურადღება მისი თანამგზავრების მონაცემებს, რომლებმაც მიუთითეს საქართველოს ჯარების კონცენტრაციის შესახებ სამხრეთ ოსეთის საზღვართან. ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის...

როგორც ჩანს, რაისი არ იყო ერთადერთი გავლენიანი ამერიკელი, რომელმაც მიმართა სააკაშვილს აგვისტოს ომის წინ. მის ვიზიტამდე სამი დღით ადრე, საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა კარლ როუვს, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ნდობით აღჭურვილ პირს. უფრო ადრე სააკაშვილს ხშირად ურეკავდა მხარდაჭერის გამოხატულებით პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან ჯონ მაკკეინი, რომლის მრჩეველიც საგარეო პოლიტიკაში რენდი შეინემანი იყო ფასიანი ლობისტი, ვინც საქართველოს მთავრობაზე მუშაობდა. ვინმეს სჯერა, რომ ბატონები როუვი და მაკკეინი მოუწოდებდნენ სააკაშვილს თავშეკავებისკენ? თუ კიდევ უფრო საალბათოა, რომ ისინი ურჩევდნენ მას ჩერჩილის ცნობილი გამოთქმის სულისკვეთებით: ისტორიას გამარჯვებულები წერენ?

არც როუვი, არც მაკკეინი არ არიან ვალდებული კანონით ილაპარაკონ თავიანთი საუბრების შინაარსის შესახებ სააკაშვილთან, ვინაიდან ორივე ამტკიცებს, რომ მასთან ჰქონდათ ურთიერთობანი, როგორც კერძო პირთან. მაგრამ ქალბატონ რაისს არ შეუძლია ამაზე მიუთითოს. იგი თბილისში იყო ოფიციალური ვიზიტით და მისი საუბრები სააკაშვილთან უნდა ჩაწერილიყო, როგორც ეს მიღებულია. თუ კონგრესს მართლაც აინტერესებს მომხდარის ნამდვილი მიზეზი, მას უნდა მოეთხოვა ქალბატონი რაისისგან ფიცით განიხილოს სააკაშვილთან მისი მოლაპარაკების სტენოგრამები. თავის მხრივ, ქალბატონი რაისიც, თუ მას დასაფიცი არაფერი აქვს, მხოლოდ კმაყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობით აჩვენოს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა, თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა. სამწუხაროდ, ჩვენს კანონმდებლებს ფაქტები ნაკლებად აინტერესებთ. უკანასკნელ რეზოლუციაში საქართველოსთან დაკავშირებით, რომელიც სენატმა 29 ივლისს ერთსულოვნად მიიღო, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დასახელებულია, როგორც საქართველოს „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული“ რეგიონები. როგორც ჩანს, ბევრ სენატორს მართლაც სწამს, რომ საკითხი შეეხება ტერიტორიებს, რომლებიც რუსეთმა ძალით დაიპყრო 2008 წლის ომის შედეგად. ამ დროს ეს, უბრალოდ, არც შეესაბამება სინამდვილეს: დე ფაქტო აფხაზეთმა და სამხრეთმა ოსეთმა საქართველოსგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს 1991-1993 წლებში შეიარაღებული აჯანყების გზით. კონფლიქტი, რომელიც ამიერკავკასიის ამ ნაწილში კვლავ ღვივის – ეს არ არის კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის, როგორც ეს სურთ დაგვარწმუნონ სააკაშვილის დასავლელმა მომხრეებმა. ეს არის კონფლიქტი საქართველოსა და ორ დამოუკიდებელ ქვეყანას – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, რომლებსაც არ სურთ იცხოვრონ თბილისის ტირანიის ქვეშ.

პრეზიდენტმა მედვედევმა თავის ინტერვიუში გააკეთა ის, რისი გაკეთებაც დიდი ხანია აუცილებელი იყო – ჩამოაყალიბა რუსეთის პოზიცია ამ კონფლიქტთან დაკავშირებით. ეს, უდავოა, იყო ნაბიჯი სწორი მიმართულებით, თუმცა ამით შემოფარგვლა არ შეიძლება და აუცილებელია ითქვას კიდევ ბევრი რამ.

The IVANOV report

## დედამიწის ზურგზე

**სასამართლოებმა მოქანცეს ტიმოშენკო, იგი შესვენებას ითხოვს**

კიევის პეჩორის სასამართლოში გრძელდება მოსმენა „გაზის საქმეზე“ უკრაინის ექსპრემიერის წინააღმდეგ. ტიმოშენკო გამოიყურება დაღლილად და ფერმკრთალად. ამჟამინდელ სხდომაზე დაგეგმილია დაკითხონ ექსპრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო. სხვათა შორის, სასამართლოზე მისი ყოფნა დადასტურებული არ არის – წინა დღით მან უარი თქვა სასამართლო პროცესზე დასწრების შესახებ.

* * *

**დარბევები ბრიტანეთში: გამოქვეყნდა ვიდეო-თავდასხმა პოლიციელებზე, ჰაკერმა კი ქურდი „ფეისბუქის“ საშუალებით აღმოაჩინა**

კლიპზე, რომელიც გასულ კვირას არის გადაღებული, მოჩანს, თუ მწვანე „სიტროენი“ მთელი სიჩქარით როგორ ეჯახება ორ პოლიციელს. ინციდენტი მოხდა ლონდონის გარეუბანში 8 აგვისტოს: ოფიცრებს მანქანა დაეჯახა, როდესაც ისინი მოზარდებს მისდევდნენ, ტანსაცმლის მაღაზიას რომ ძარცვავდნენ. პოლიციამ სთხოვა მოქალაქეებს, დაეხმარონ დამნაშავეების მოძებნაში.

* * *

**სამხრეთი კორეა ატარებს სამხედრო მანევრებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, ამუშავებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული იარაღის განადგურების ვარიანტს**

ყოველდღიური სამხედრო მანევრები „თავისუფლების დამცველი“ 26 აგვისტომდე გაგრძელდება. აღნიშნავენ, რომ სწავლება მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისაა. მაგრამ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩრდილოეთი კორეისთვის დამახასიათებელი პათოსით, აცხადებენ, რომ ნახევარკუნძულზე შეიქმნა ისტორიაში უდიდესი კრიზისი.

* * *

**კადაფის ძალებმა პირველად დაუშინეს მეამბოხეებს საბჭოთა ბალისტიკური რაკეტა რ-11**

პენტაგონის მონაცემებით, „სკუდი“ გაუშვეს სირტიდან – მოამარ კადაფის მშობლიური ქალაქიდან, რომელიც სანაპიროზე მდებარეობს ტრიპოლსა და ბენგაზს შორის. გაურკვეველია რა მისამართით იყო გაგზავნილი ეს ჭურვები, მაგრამ რაკეტა ჩამოვარდა 80 კილომეტრზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქიდან მარსა-ელ-ბრეგადან.

* * *

**ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად გაყიდის ჯეიმს ბონდის „კოლეგების“ საათებს**

სწორედ ამ ლოტმა მიიპყრო ყველაზე მეტი ყურადღება, როგორც პოტენციური მყიდველებისა, ისე ბრიტანული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭროდ გამოტანილია ავიამზიდი, რამდენიმე შვეულმფრენი, დაჯავშნული ავტომობილი „იაგუარი“, ჯიპები, სამხედრო ფორმა და კბილის ექიმის გადასაზიდი სავარძელიც კი.

ვისწავლოთ სიკეთის ქმნა

# ღვთით ბოძებული ქველმოქმედება

**ქველმოქმედება სიკეთის, მოწყალების გაღებას, გულითადობას და სიმამაცეს ნიშნავს, ასეთი თვისებები რჩეულთა ხვედრია.**

**ვისწავლოთ ქველმოქმედება!**

**შევისწავლოთ და შევიფაროთ უსასოო, უპოვარი, გვასწავლის უფალი...**

ვინ მოთვლის რამდენი საქველმოქმედო ღონისძიება ჩაუტარებია საქართველოს ქალთა საბჭოს, მის ხელმძღვანელს, დიდ ქალბატონს მზექალა შანიძეს. საბჭოში მოღვაწე ქალბატონებს თამამად შეიძლება „იმედის გმირები“ ვუწოდოთ. კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონი, სასიკეთო საქმეებისთვის თავშეწირული ლალი გუჯაბიძე რომ გვერდით არ ჰყოლოდათ, ქალთა საბჭოს, არა თუ საქმიანობა, არსებობაც კი გაუჭირდებოდა...

ახლახან გახსნილ „ჯანმრთელობის სახლში ქალბატონი ლ. გუჯაბიძე გამოკვლევებზე უსასყიდლოდ ეპატიჟება პენსიონერებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთ...

ამ დღეებში ქალთა საბჭომ გრანდიოზული ღონისძიება ჩაატარა – ექიმების (ეს ლალის წინადადებააძ სრული შემადგენლობით, ლაბორანტის თანხლებით ეწვივნენ ნიქოზს. ამ სოფლიდან იწყება და მთავრდება დღევანდელი სამაჩაბლო, თავს დატეხილმა უსამართლო ომმა შეამოკლა საზღვარი. სამასიოდე მეტრში, ყველა ქართველისთვის მოურჩენელი ტკივილი ცხინვალი და რუსული ტანკი მოჩანს.

გზადაგზა უსაფრთხოებას ჯარისკაცები იცავენ. გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარების მანქანას აქ ყველა ცნობს. ავტომანქანა გადატვირთულია სურსათით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, პირველადი მოხმარების ნივთებით.

დახმარება ეკუთვნით ზემო და ქვემო ნიქოზელებს, ზემო ხვითელებს. ჯოჯოხეთგამოვლილ, სასწაულად გადარჩენილ, დაახლოებით შვიდასამდე ოჯახს. ნობათი მათთვის გაიღეს კეთილმა ადამიანებმა და ორგანიზატორებმა: შპს „ჰუმანა ჯორჯიამ“ (გენერალური დირექტორი მანანა შენგელაიაძ, შპს „პსპ-ფარმამ“ (გენერალური დირექტორი გოჩა გოგილაშვილიძ, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტმა (დირექტორი ზურაბ ქემოკლიძეძ, თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკამ (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძეძ, ქალთა ორგანიზაციამ „მშვიდობა ყოველთა“ (ხელმძღვანელი მაია კვეზერელიძ, სომეხ ქალთა ორგანიზაციამ „შუშანიკი“ (თავმჯდომარე შუშანა ხაჩატურიანიძ, ქალთა საერთაშორისო ფონდმა (ხელმძღვანელი დალი ბოჯგუა, ლალი გვანცელაძეძ.

... იმ დღეს ორასზე მეტმა პაციენტმა ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა. ექიმები: მაია სურგულაძე, მაია კოპალეიშვილი, ხათუნა ნუცუბიძე, თათია მოსიძე, ნატა ხითარიშვილი, ექიმი-ლაბორანტი ნანა კოპალეიშვილი და დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მზია დუნდუა უანგაროდ გაუმკლავდნენ მოზღვავებულ პაციენტებს...







მადლიერება გამოხატეს: **ოლია მითაევამ** – ეროვნებით ოსი: სამი წელია ჩემს ქალიშვილთან ერთად ნიქოზში ვცხოვრობ. აქამდე არავის მოვუკითხივარ, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი. ქმარი და შვილი ცხინვალში დამეღუპნენ, საფლავებიც არ ვიცი მათი. იქნებ მოღალატე ვარ, გამყიდველი, არავის ვაინტერესებ. რომ არა ჩემი ქართველი სიძე, სულმთლად განწირული ვიყავი შიმშილისთვის. ამდენ რამეს ვინ გვაღირსებდა. მადლობა ყველას, ვინც გაჭირვებულზე ზრუნავს. განა ვის რა დავუშავეთ, ასე სამუდამოდ რომ ამოგვიკვეთეს ფეხი ჩვენი სახლ-კარიდან... ორ ნაბიჯზე ვართ, არც მათ აქვთ აქეთ ფეხის გადმოდგმის უფლება და არც ჩვენ. მთელი ჩემი ქონება მაზლისშვილებს დავუტოვეთ. მეტი არაფერი გამეგება, რა მოხდა, ვინ არის მტყუან-მართალი, მე ჩემი თავის ისტორია ვიცი მხოლოდ...

**ეთერ გოგინაშვილი, პედაგოგი:** ჩემმა ოჯახმა ომის დროს ოცდათორმეტი კაცი შევიფარეთ. დიდი სარდაფი მაქვს. სულ დავცალე, იქ ვიმალებოდით. „ომეგას“ ბიჭები იყვნენ. საბრძოლველად რომ გადიოდნენ, თითოეულს პირჯვარს ვწერდი (ტირისძ, ვევედრებოდი, შემომიარეთ, განახოთ ცოცხლები რომ ხართ-მეთქი. ხუთი დღე წელიწადად მეჩვენებოდა. სამი ყუმბარა ეზოში ჩამოვარდა, მარჩენალი ძროხა მომიკლა, იმით ვკვებავდი ბიჭებს, რძით სავსე ქვაბი სულ გზაზე მედგა. ვიდრე ხილს არ დავკრეფდი, ბიჭები იმასაც არ ეკარებოდნენ, ერთმანეთზე უკეთესები, ნარჩევები, უნდა გენახათ, ნეტავ რა ოჯახებში იყვნენ გაზრდილები... ერთ-ერთის მამა მოვიდა, სულ დაკოცნა „პადვლის“ კედლები, ამან შემინახა შვილიო. სულისშემძვრელი ხუთი დღე... რუსმა ჯარისკაცებმა მოიყვანეს მანქანა, ჩვენს თვალწინ დატვირთეს, თუ რაიმე გამაჩნდა, სულ პირწმინდად წაიღეს, არაფერი დატოვეს. სროლის ხმასაც შევეგუეთ, გაჭირვებამაც გაშინაურება იცის, სამამულო ომიც კარგად მახსოვს, მაგრამ სად იყო მაშინ ასეთი ძარცვა-გლეჯა.

ერთიც, არ დამავიწყდეს – ვიდრე, მშვიდად და წყნარად ვცხოვრობდით, ცხინვალს არაფერი გააჩნდა, ჭირნახულით ჩვენი სოფლები ინახავდა. ვინ იცოდა თუ ასეთი ტკივილი გველოდა!

**ნინო მიძელაძე, თეა მჭედლიშვილი – ლტოლვილები:** ერთი თვე „სამშობლოს“ შენობას შევაფარეთ თავი. გვაკითხავდნენ ორგანიზაციები, ქალთა საბჭოს დახმარებაც გვერგო რამდენჯერმე. გორი იბომბებოდა, უგზოუკვლოდ გავრბოდით, დედაჩემს ეგონა ბორჯომში მიდიოდა, თბილისში აღმოჩნდა, ხალხი სულმთლად შეშლილი იყო შიშისგან, ვინ საით გარბოდა, არ იცოდა. ჩვენი მეუფის ეპარქია, კელიები არ დაინდეს რუსებმა, პირწმინდად გადაწვეს. ზემო ნიქოზის მაცხოვრის ამაღლების საკათედრო ტაძრის მეტროპოლიტმა მეუფე ისაიამ ბევრს შეუნარჩუნა სულიერი სიმშვიდე, ერთი წუთით არ მიგვატოვა. როცა მოვბრუნდით, მოჩვენებითი სიმშვიდე დაგვხვდა ვითომ, სახლი პროდუქტებისგან სულ გაცლილი იყო. მთელი სოფლის სახელით ვუხდით მადლობას! ექიმთან მისვლა რომ შევძლოთ, წამლების შესაძენი ფული მაინც არა გვაქვს, ამ ნობათით, რომ იტყვიან სულზე მოგვისწარით...

**ნანული ბუკია,**
ჟურნალისტთა კავშირისა და ქალთა საბჭოს წევრი, აქციის მონაწილე.

**სურათებზე:** აქციის დროს.

სამეგრელოს მხარე

# ზუგდიდელები სამართალს თბილისში ეძებენ

**საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში (ზუგდიდში) მრავლადაა უსამართლობით გაწამებული ადამიანი. ისინი დღემდე ეძებენ სამართალს, მაგრამ ამაოდ.**

**ზუგდიდელებმა: ვაინარ ძიგუამ და მერაბ და ვალენტინა თოლორაიებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, რომ დაეხმაროს მათ სიმართლის გარკვევაში.**

ვაინარ ძიგუა ზუგდიდელი ადვოკატის დასჯას ითხოვს: **„1997 წელს მე და აწ გარდაცვლილი ჩემი მეუღლე მივედით მის მამიდაშვილთან ნარგიზა ბიგვავასთან და ვთხოვეთ 1300 დოლარის სესხება, რადგან მივდიოდით უკრაინაში სამუშაოდ, მან გვასესხა 1300 დოლარი 100%-იანი დანამატით და შემოგვთავაზა, რომ ჩვენი სახლ-კარი დაგვეტოვებინა მისთვის, სადაც ის ზუგდიდში ჩამოსული ბაზრის მოვაჭრეებისთვის გააკეთებდა დროებით ღამისგასათევს, რადგან ჩემი სახლ კარი ბაზრიდან 150 მეტრში მდებარეობდა. შემოსული თანხით ის გადაგვიხდიდა სესხის პროცენტებს და თანაც ძირითად ფულსაც დაგვიგროვებდა. დავთანხმდით. დავუტოვეთ ჩვენი ოჯახი და წავედით უკრაინაში, რამოდენიმე ხნის შემდეგ მისი თხოვნით ჩვენ მას უკრაინიდან გამოვუგზავნეთ 1300 დოლარი. 2006 წელს გარდამეცვალა მეუღლე და ჩამოვასვენე ჩემს სახლში ზუგდიდში. სახლი დამხვდა გაჩანაგებული, ნარგიზა ბიგვავას ყველა ნივთი გაუყიდია, თანაც პირველი სართული დაუგირავებია 1000 დოლარად. რამდენიმე დღის შემდეგ ღამის 4 საათზე თავზე პოლიციელები დამადგნენ და წამიყვანეს პოლიციაში. გადმომცეს დაკავების ოქმის ასლი. ბრალი მედებოდა თითქოს მე და ჩემმა მეუღლემ მოტყუებით გამოვართვით და მივითვისეთ ნარგიზა ბიგვავასგან 1300 დოლარი და მივიმალეთ. ჩემს ადვოკატს კოტე სხულუხიას ვთხოვე, მოეპოვებინა ყველა მასალა, რომელიც სიმართლეს დაადგენდა. ამის მაგივრად მან მოიმიზეზა დროის უქონლობა და მირჩია აღიარებითი ჩვენება მიმეცა. მას დავუჯერე და მივეცი წინასწარ გამოძიებაზე აღიარებითი ჩვენება არჩადენილ დანაშაულზე. ჩემი აზრით, ადვოკატი სხულუხია და ნარგიზა ბიგვავა ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2 წლით პირობითი სასჯელი და 3000 ლარის გადახდა მომისაჯა... ჩემს ახლანდელ ადვოკატს ნუგზარ ჩუხუას თუ შეეძლო ჩემი გამამართლებელი დოკუმენტების მოპოვება, რა უშლიდა ხელს ადვოკატ სხულუხიას? მან პასუხი უნდა აგოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წინაშე“** – ნათქვამია მიმართვის წერილში.

* * *

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მკვიდრნი მერაბ და ვალენტინა თოლორაიები კი ზუგდიდელ პოლიციელებს უჩივიან. 2011 წლის 4 აპრილს მერაბ თოლორაია სასტიკად სცემეს ზუგდიდელმა პოლიციელებმა. **„ჩემი ცემის ფაქტთან და პოლიციელების მიერ ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების უტყუარი დამადასტურებელი დოკუმენტები გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატუარაში. იქიდან რეაგირებისათვის გადაეგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქის პროკურორს როლანდ ახალაიას, მან კი გადაუგზავნა ზუგდიდის რაიონის პროკურორ დიმიტრი ხვიტიას, ხვიტიამ კი პროკურატურის პროკურორს ანა არონიას გადასცა ეს საქმე. ამის შემდეგ დადიან ჩვენს ოჯახში ნაცნობი და უცნობი პიროვნებები და მოსვენებას არ გვაძლევენ. გვთხოვენ, განცხადების დაწერას პროკურორ ხვიტიას სახელზე, რომ შეტანილი ადრინდელი განცხადება დატოვებულ იქნეს რეაგირების გარეშე, თან მოაქვთ წინასწარ შედგენილი ტექსტი, თუ როგორ უნდა დაიწეროს განცხადება. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ დახმარებას, რომ მიღებულ იქნეს კანონი პოლიციელთა ულირს ქმედებათა გამო. და თუ პროკურორი ხვიტია შეეცდება ამ ამბის მიჩქმალვას, ჩვენ მზად ვართ ჩვენი მცირეწლოვანი სამი შვილით ჩამოვიდეთ დედაქალაქში და თქვენი რეზიდენციის წინ დავიწყოთ შიმშლობა“** – ნათქვამია პრეზიდენტისადმი გაგზავნილ განცხადებაში.

**ძიგუასა და თოლორაიებისნაირნი ხსნას თბილისისგან მოელიან. წერენ წერილებს პრეზიდენტის, სახალხო დამცველის, მთავარი პროკურორის და ა.შ სახელზე, მაგრამ მათი წერილები, თხოვნა-მუდარა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.** ზუგდიდზე, რომელიც განთქმულია მთელ საქართველოში „სამართალდამცველთა“ უმსგავსო ქმედებებით, თბილისი არანაირ რეაგირებას არ ახდენს.

**ლადო ქირია.**
ზუგდიდი

ფეხბურთი

# მწვრთნელის ხვედრი



**ხვალ „ზესტაფონი“ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ევროპის ლიგის პირველ პლეი-ოფს გამართავს „ბრიუგესთან“. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს მოქმედ ჩემპიონს ბელგიელებთან მატჩში გია გეგუჩაძე აღარ უხელმძღვანელებს, მისი შემცვლელის ვინაობა კი ჯერჯერობით არ ხმაურდება.**

მაინც, რატომ შერისხეს ყვირილასპირელთა მთავარი მწვრთნელი? — დაგებადებათ, ალბათ, კითხვა. ოფიციალური ვერსიის გავრცელებამდე, ბუნებრივია, ერთმანეთში ირევა ჭორ-მართალი, ყველაზე სარწმუნოდ კი ჩემპიონთა ლიგიდან ავსტრიის „შტურმთან“ გამოვარდნა და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში შინ ფოთის „კოლხეთთან“ ძვირფასი ქულების დაკარგვა მიმაჩნია (1:1ძ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ გრაციდან დაბრუნების შემდეგ იმერელთა თავკაცი გუნდის ვარჯიშებზე აღარც გამოჩენილა.

დავძენთ, რომ გია გეგუჩაძე 2004 წელსაც სერიოზული წარმატების შემდეგ დარჩა უმუშევარი, როცა თბილისის „დინამო“ უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. თუმცა, ახალგაზრდა სპეციალისტის ასეთი ხვედრი რა გასაკვირია იმ ქვეყანაში, სადაც თვით ანდრო ჟორდანიას ლამის ყოველკვარტალურად აიძულებდნენ საყვარელი საქმის მიტოვებას.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# „ბრინჯაო“ ინდოეთიდან



**ქართველმა მოჭადრაკე ნაზი პაიკიძემ (2416ძ, რომელიც ინდოეთის ქალაქ ჩენაიში გამართული 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის რეიტინგ-ფავორიტი გახლდათ, 9.5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.**

პაიკიძემ 13 ტურის განმავლობაში 8 პარტია მოიგო, სამი ფრედ დაასრულა, ორში სწორედ იმ მოჭადრაკეებთან დამარცხდა, რომელთაც საბოლოოდ პირველ-მეორე ადგილები გაინაწილეს. საბოლოოდ, 11 ქულით ჩემპიონობა პერუელმა დეისი კორიმ (2376ძ მოიპოვა, ვერცხლი კი რუს ოლგა გირიას (2371ძ ერგო.

ტურნირის კიდევ ერთმა ქართველმა მონაწილე ქეთი წაწალაშვილმა (2318ძ შვიდ მოგებას ოთხი მარცხი და ერთი ყაიმი (პირველ ტურში არ უთამაშიაძ წაამატა და 7.5 ქულით ოცდამეერთე პოზიციას დასჯერდა.

ვაჟთა ჩემპიონატის გამარჯვებული 10.5 ქულით პოლონელი დარიუშ შვიერჩი (2553ძ გახდა. ასეთივე მონაგრის მქონე სომეხი რობერტ ჰოვანისიანი (2556ძ „ვერცხლს“ დასჯერდა, ხოლო ინდოელი საჰაი გროვერი (2496ძ 9.5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა.

დებიუტი

# ამას ყველა ინატრებდა



**ზღაპრული — ასე შეიძლება შეფასდეს მადრიდის „ატლეტიკოდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადაბარგებული არგენტინელი ბომბარდირის სერხიო (კუნძ აგუეროს ინგლისური დებიუტი.**

მარადონას სიძე პრემიერლიგის პირველი ტურის საშინაო მატჩში „სუონსისთან“ სარბიელზე მე-60 წუთზე გამოჩნდა და დარჩენილ ნახევარ საათში „დუბლი“ და საგოლე გადაცემა მიითვალა, მისმა პარტნიორებმა კი უელსელი მეტოქეები 4:0 დაჯაბნეს.

ტრანსფერი

# ფაბრეგასს ოცნება აუხდა

**მშობლიურ კლუბში დაბრუნების შემდეგ, „ბარსელონას“ ახალწვეულმა სესკ ფაბრეგასმა განაცხადა, რომ კატალონიური კლუბის მაისურის მორგებით ძალიან ბედნიერია.**




„არაერთი წელი, თვე და დღე დაიხარჯა იმისათვის, რომ „ბარსელონაში“ დავბრუნებულიყავი. მოხარული ვარ იმის გამო, რომ 8 წლის გასვლის შემდეგ კვლავ სახლში მომიწევს ყოფნა. „ბარსელონაში“ გადმოსვლა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოწვევაა. ვიცი, რომ მომიწევს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად თამაში და ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, პრეზიდენტ როსელით დაწყებული და გვარდიოლათი დამთავრებული. მადლობა ტიაგოსაც, რომელმაც 4-ნომრიანი მაისური დამითმო. ჩემი სახის გამომეტყველებითაც შეგიძლიათ მიხვდეთ, რომ ბედნიერი ვარ“ — ციტირებს ფაბრეგასის სიტყვებს „ბარსელონას“ ოფიციალური ვებ-გვერდი.

„ბარსელონას“ ფეხბურთელის რანგში გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე ფაბრეგასს აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის, არსენ ვენგერის დაცვა მოუხდა: „აქ ხალხს ვენგერზე ნეგატიური წარმოდგენა აქვს, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იგი ასეთი არაა. ვენგერი ჩემთვის განსაკუთრებული პიროვნებაა. მას მეორე მამად მივიჩნევ. ვენგერს მადლობა უნდა ვუთხრა იმის გამო, რომ მე დღეს „ბარსელონას“ პირველი გუნდის ფეხბურთელი ვარ. ვწუხვარ, რომ „არსენალთან“ ერთად ჩემპიონატის მოგება ვერ მოვახერხე“.

აქვე დავამატებთ, რომ „ბარსელონასა“ და „არსენალს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები ოფიციალურ დონეზე გახდა ცნობილი. კატალონიელები ფაბრეგასში 29 მილიონ ევროს გადაიხდიან. ამ თანხის ნახევარს „ბარსა“ ახლავე დაფარავს, მე-2 ნახევარს კი — სექტემბერში. როგორც იცით, ფაბრეგასმა 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ყოველწლიურად იგი თავისი ხელფასიდან თითო მილიონს ყოფილ კლუბს გადაურიცხავს. გარდა ამისა, თუ ფაბრეგასმა „ბარსელონასთან“ ერთად 2-ჯერ ესპანეთის ჩემპიონატი და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ლონდონელთა ანგარიშზე კიდევ 5 მილიონი ევრო ჩაირიცხება.

რეიტინგი

# პირველ ათეულში - შვიდი ჩოგბურთელი ქალი

**რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა კვლავ სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ყველაზე მაღალი ანაზაურების მიმღებ სპორტსმენ ქალთა სიას, რომელიც ამერიკულმა ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა.**

მიმდინარე სეზონში მარია შარაპოვამ კორტებზე 2 მილიონ 303 ათას 425 დოლარი „გამოიმუშავა“, მაგრამ მისი შემოსავლის ძირითადი წყაროა სარეკლამო კონტრაქტები, რომელთა წყალობით ამ ქერათმიანი სექს-ბომბის ყოველწლიური შემოსავლის დონემ 25 მილიონ დოლარამდე აიწია. მარტო ფირმა „ნაიკთან“ დადებული კონტრაქტით 8 წელიწადში მაშა 70 მილიონ დოლარს მიიღებს!



შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ შარაპოვას უახლოესმა მდევარმა დანიელმა კაროლინა ვოზნიაცკიმ, რომელიც ფიზიკურ მონაცემთა ხიბლით რუსეთელს არაფრით ჩამოუვარდება, სარეკლამო ჰონორარებით მასზე ორჯერ ნაკლები თანხა მიიღო. რაც შეეხება წმინდა სპორტულ შედეგებს, აქ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვოზნიაცკი შარაპოვას ოთხი ადგილით უსწრებს, რომელიც რეიტინგის მეხუთე საფეხურზეა. მაგრამ, როგორც ჩანს, სპორტულ მიღწევებზე მეტად შარაპოვას ფინანსური მწვერვალების დაპყრობა იზიდავს: ციმბირელმა ტურფამ პირველმა მოიფიქრა სოციალური ქსელებით ფულის შოვნა! მაგალითად, მარია შარაპოვას მონაწილეობით სარეკლამო რგოლები თავდაპირველად „ფეისბუკში“ მის გვერდზე ხვდება, სადაც მას უკვე 5,2 მილიონმა მომხმარებელმა მიაკითხა!

ერთადერთი სპორტსმენი ქალი, ვინც შარაპოვას შეიძლება კონკურენცია გაუწიოს, ასევე ჩოგბურთელი ჩინელი ლი ნაა. სადღეისოდ ჩინელ ჩოგბურთელს რეიტინგის მერვე სტრიქონი უკავია, თუმცა მასში მისი ბოლო სარეკლამო კონტრაქტები გათვალისწინებული არ არის. ცოტა ხნის წინათ ლი ნამ შვიდი შეთანხმება გააფორმა, რომლებითაც ყოველწლიურად 2-დან 3,5-მილიონამდე დოლარს მიიღებს. რომ არა ეს ფორმალობა, მისი ყოველწლიური შემოსავალი არა 8, არამედ 14 მილიონ დოლარს შეადგენდა, ეს კი ნაღდი მეორე ადგილია.

**„ფორბსის“ რეიტინგი**

**1. მარია შარაპოვა (ჩოგბურთიძ, 25 მილიონი დოლარი; 2. კაროლინა ვოზნიაცკი (ჩოგბურთიძ, 12,5 მილიონი; 3. დანიკა პატრიკი (ავტოსპორტიძ, 12 მილიონი; 4. ვენუს იულიამსი (ჩოგბურთიძ, 11,5 მილიონი; 5. კიმ კლაისტერსი (ჩოგბურთიძ, 11 მილიონი; 6. სერენა უილიამსი (ჩოგბურთიძ, 10,5 მილიონი; 7. კიმ იუ-ნა (მოციგურავეძ, 10 მილიონი; 8. ლი ნა (ჩოგბურთიძ, 8 მილიონი; 9. ანა ივანოვიჩი (ჩოგბურთიძ, 6 მილიონი; 10. პოლა კრიმერი (გოლფიძ, 5,5 მილიონი.**

**ირმა ირემაშვილი**

ინტერნეტიდან

## ბრიტანელები რუსეთს ადანაშაულებენ

**ბრიტანეთში დიდიც და პატარაც, მათ შორის პრესაც, კვლავ მტკივნეულად განიცდის ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის არჩევნებზე თავიანთი ქვეყნის დამარცხებას და რუსეთის გამარჯვებას.** ნისლიან ალბიონში დაიწყო ამ დამარცხების მიზეზების ძებნა და აი, თითქოს მიაგნეს კიდეც მას. როგორც იქაური პრესა წერს, ამის მიზეზი იყო რუსი ჩინოვნიკების მიერ ფიფას — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის — წევრებისთვის ძვირფასი საჩუქრების მირთმევა, რაც კატეგორიულად აკრძალულია. თუმცა შემოწმებით ეს ბრალდება ძალზე დაუჯერებელი იყო.

მაგრამ გასულ კვირაში ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ბელგიიდან მიშელ დ' ხოგემ აღიარა, რომ რვა თვის წინათ კენჭისყრამდე მასთან სამშობლოში ქალაქ ბრიგეში ჩავიდიდა ვიაჩესლავ კოლესკოვი, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მრჩეველი და მას აჩუქა ნახატი. როგორც მიშელ დ' ხოგე ამბობს, კოლოსკოვი მასთან ჩავიდა 2010 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც ბელგიელმა რამდენჯერმე უარი თქვა რუსეთში ჩასვლაზე, კოლოსკოვმა მას გადასცა შეფუთული პაკეტი. როდესაც მიშელმა პაკეტი შინ გახსნა, მასში აღმოჩნდა ნახატი რუსული წარწერით. დ' ხოგემ ნახატი თავის სახლის მეორე სართულზე დაჰკიდა, რადგან ის არ მოეწონა. და ყველას ეუბნებოდა, რომ ის ოცი წლის წინანდელი მეგობრის მცირე პირადი საჩუქარი იყო“.

ბელგიელი ამტკიცებს, რომ მას რუსეთისთვის ხმა არ მიუცია, ხოლო რუსული ხელოვნების სპეციალისტმა მას უთხრა, რომ ნახატს არ გააჩნია განსაკუთრებული ღირებულება. უნდა ითქვას, რომ ფიფას წინააღმდეგ ბრიტანული მასმედიის მძლავრმა შეტევამ უკვე გამოიწვია ფიფას რამდენიმე ჩინოვნიკის გადადგომა.

## დაიბრუნებენ „ფორმულას“?

**თითქმის ოცი წლის შემდეგ მექსიკამ მოინდომა „ფორმულა-1“-ის რბოლის დაბრუნება. მექსიკურმა კომპანია CIE გეგმავს ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ „მექსიკის გრან-პრის“ გათამაშება მოეწყო 15-ჯერ — 1963 წლიდან 1970 წლამდე, შემდეგ კი 1986 წლიდან 1992 წლამდე.**

მექსიკური ეტაპის აღორძინების პროექტის ერთ-ერთი ენთუზიასტია კარლოს სლიმ დომიტი — პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის — კარლოს სლიმის შვილი, რომელიც თანამშრომლობს კომპანიაში CIE. „ახლა ჩვენ ვაანალიზებთ სიტუაციებსა და შესაძლებლობებს“, — უთხრა სლიმ დომიტმა „როიტერს“.



რბოლის ჩატარების ყველაზე შესაძლებლად ადგილად მიიჩნევენ ძმების როდრიგესების სახელობის ავტოდრომს, რომელიც ეკუთვნის CIE-ს. კიდევ ერთ შესაძლო ვარიანტად მიიჩნევენ ახალ საქალაქო ტრასას გვადალახარაში.

მექსიკის დაბრუნებას მიესალმა FIA-ს ახლანდელი პრეზიდენტი ჟან ტოდტი.

აღსანიშნავია, რომ „ფორმულა-1“-ში უკვე არის ერთი მექსიკელი პილოტი სერხიო პერესი „ზაუბერიდან“.

## აიდამ მელისა შეიძულა

**დიახ, როგორც ჩანს, პოპულარულ იტალიელ მოდელს აიდა იესპიცას თვალის დასანახად სძულს კრისტიან ვიერის ყოფილი სატრფო მელისა სატა. რადგან მან ახლა აიდას ყოფილი შეყვარებული მატეო ფერარი შეიყვარა. არადა მატეო ხომ აიდას ვაჟიშვილის — არონის მამაა! თურქული „ბეშიქტაშის“ ნახევარმცველი მატეო ფერარი მალე ევროპის ლიგის მატჩებში მიიღებს მონაწილეობას.**



ესპიცამ, ერთ დროს ადრიან მუტუსაც რომ ხვდებოდა, მატეოსთან განხეთქილების შემდეგ ველარავინ შეიყვარა, თანაც, როგორც ამბობენ, ისევ უყვარს ფერარი, თუმცა არავინ იცის, თუ რას ფიქრობს ეს უკანასკნელი.

„საზღვრებს გარეთ საქართველო“

# ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევას 300 ათასი ლარით დააფინანსებენ




**რა კულტურულ მემკვიდრეობას ფლობს საქართველო, – არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ იურიდიულ ფასეულობებს, ამაზე სრული და ამომწურავი ინფორმაცია საბოლოოდ არ არის შესწავლილი. უცხოეთში უამრავი მასალაა მიმოფანტული, რომელიც თავმოყრას საჭიროებს. ამიტომ სრულიად დროული და აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინიციატივა, რომელიც საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევას დააფინანსებს.**

სიმბოლურად სწორედ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ოთახსამლოცველოში შედგა გუშინ ბრიფინგი, სადაც საგრანტო კონკურსის შესახებ განაცხადეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **სულხან სისაურმა.**

ფონდი საკმაოდ მოცულობითია, მოთხოვნილი თანხა 300 ათას ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო კვლევის ხანგრძლივობა – სამ წელიწადს. მონაწილეობის მიღება შეუძლია მკვლევართა ჯგუფს, რომლებიც ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენენ, ასევე მონაწილეობა შეუძლია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას. საკონკურსო განაცხადებს ფონდი მიმდინარე წლის 12 სექტემბრის ჩათვლით მიიღებს.

**„კონკურსის მიზანია ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევით ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების დაინტერესება,** – განაცხადა კოკა სეფერთელაძემ, – **ფონდი საუკეთესო კვლევით პროექტებს დააფინანსებს, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალების, ეთნოგრაფიული მონაცემების მოძიებას, აღრიცხვასა და სამეცნიერო დონეზე შესწავლას“.**

როგორც სულხან სისაურმა აღნიშნა, **„კომპლექსურად და ბოლომდე დღემდე არ არის შესწავლილი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. პროექტის შედეგად კი შეიქმნება უფრო სრულყოფილი სურათი იმ უმნიშვნელოვანესი ქართული საგანძურის შესახებ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია მიმოფანტული, ან ნაკლებად შესწავლილია, ან საერთოდ, შეუსწავლელია. კვლევა ხელს შეუწყობს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, რითაც საქართველო ამაყობს და დღემდე იწვევს მსოფლიოს აღფრთოვანებასა და ყურადღებას“.**

კონკურსში გამარჯვებულმა მეცნიერთა ჯგუფმა კვლევა უკვე ოქტომბრიდანვე უნდა დაიწყოს. მათ შეექლებათ არა მხოლოდ ამ თანხის გამოყენება, არამედ უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან, ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან თანადაფინანსების მოზიდვა. ამდენად, პროექტი – „საზღვრებს გარეთ – საქართველო“ ნამდვილად საინტერესოა ამ საკითხით დაინტერესებული ქართველი მეცნიერებისთვის, მით უფრო საჭირო და აუცილებელია ამ კვლევის შედეგები ქართველი ერისთვის...

**ნია ფიფია**

SIC!

# რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც „მშვიდობიანად“ იღუპება

**რუსეთი კატასტროფის წინაშე დგას. გასულ წელს, ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანამ 3000 დასახლებული პუნქტი დაკარგა. წლიდან წლამდე, რუსეთში, არაერთი მცირე ქალაქი, სოფელი და ე.წ. ხუტორი ქრება. ფედერაციის რეგიონალური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 1990 წლიდან დღემდე, ქვეყანაში პირისაგან მიწისა აღიგავა 23 000 დასახლებული პუნქტი, აქედან 20 000 სოფელია.**

ციფრები მართლაც კატასტროფაზე მიანიშნებს: 1989 წლიდან 2002 წლამდე დასახლებების რიცხვმა 3230-დან 2950-მდე იკლო, 2002 წლის შემდეგ კი კიდევ 380 სოფელი გაქრა.

მეცნიერების დაკვირვებით, არა მხოლოდ დასახლებული პუნქტები, არამედ საერთოდ, რუსეთის მოსახლეობის რაოდენობაც კატასტროფულად მცირდება. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე რუსეთის მოსახლეობის რიცხვი 86 000-ზე მეტი ადამიანით შემცირდა. 2002 წლის აღწერის შედეგებით დადგენილი რაოდენობა – 145,2 მილიონი - 2010 წელს 142,8 მილიონი გახდა.

რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც მშვიდობიანობის დროს იღუპება – ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. ნიკოლას ებერშტადტი თავის წიგნში „დემოგრაფიული კრიზისი რუსეთში მშვიდობიან დროს“ წერს: „ეს არა მხოლოდ მასშტაბური დემოგრაფიული კრიზისია, არამედ შორს მიმავალი კრიზისია ადამიანური რესურსებისა. რუსეთი წარმოადგენს უნიკალურ თანამედროვე პარადოქსს: განათლების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, სახეზეა ადამიანური კაპიტალის უკმარისობა. კრემლის ხელმძღვანელობა, გარკვეულწილად, ებრძვის ამ პრობლემის ნაწილს, მაგრამ როგორც ჩანს, ამბიციურ ლიდერებს ჯერ არ გაუცნობიერებიათ მასშტაბები იმისა, რაც ხდება“.

გაეროს პროგნოზით, 2025 წელს რუსეთის მოსახლეობა 121-126 მილიონი იქნება, 2030 კი მხოლოდ 115 მილიონი.

რუსი მეცნიერები ამბობენ, რომ დეპოპულაციის გასული პერიოდი – 1917-1923, 1933-1934 და 1941-1946 წლებში სამოქალაქო ომის, რეპრესიების, კოლექტივიზაციისა და მეორე მსოფლიო ომის შედეგი იყო. დღეს კი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ხდება „ქვეყნისთვის ჩვეულებრივ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში“.

ამას ემატება ისიც, რომ რუსეთში ძალიან დაბალია შობადობა. შობადობის მაჩვენებლის შემცირების თვალსაზრისით რუსეთში იმდენად ექსტრემალური ვითარებაა, რომ რუს მეცნიერთა შორის ახალი ტერმინი – ჰიპერსიკვდილიანობა – გაჩნდა.

ის, რაც ხდება, ეკონომიკური დეგრადაციის შედეგია. განადგურებულია სოფლის მეურნეობა, სოფლისათვის განკუთვნილი ხარჯები შემცირებულია. იხურება და ერთიანდება სკოლები და საავადმყოფოები. სოფელში ადამიანებს არ აქვთ არსებობის პირობები და საშუალება. შედეგად ეს ტერიტორიები კვდება. შორეულ აღმოსავლეთში და ციმბირში პრაქტიკულად შეწყდა მიწის დამუშავება. რუსეთის ხელისუფლებას „ფეხებზე კიდია“ ციმბირის მოსახლეობა. მათ მხოლოდ ფული აინტერესებთ, ჩვენ მათ მოგებას ვაძლევთ, – ამბობს ანდრეი სტაროსტინი, რომელიც ირკუტსკში ცხოვრობს.

„აღნიშნული სტატისტიკა ქვეყნის სიკვდილის მომასწავებელია“ – ამბობს ლევ პონომარიოვი, – მოძრაობა „ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელი დირექტორი და ნაციონალური ასამბლეის დეპუტატი. მისი თქმით, ქვეყნის შველა მხოლოდ კომპეტენტურ ხელისუფლებას შეუძლია, თუმცა ასეთის მოსვლის შანსებს, პონომარიოვი, ჯერ ვერ ხედავს.

**თეა ინასარიძე**

Presa.ge



შვილები ავთანდილი, თეიმურაზი, მარინა, რძლები ნინო ადამაძე, დეა მჭედლიშვილი, სიძე ლექსო დვალაძე, მული შუშანა, შვილიშვილები ლაშა, ლელა, ნესტანი, ნინო, გიორგი შაშიაშვილები, შალვა ხეცურიანი ოჯახებით, შვილთაშვილები, შვილთაშვილიშვილი და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუშანა ივანეს ასული სალდაძე-შაშიაშვილისა

პანაშვიდი 18, 19 VIII, დაკრძალვა 20 VIII, 15 სთ. მისამართი: ქუთაისი, გამსახურდიას მე-5 შესახვევი, №1.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ხუციშვილი თანაუგრძნობენ ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილს დედის

შუშანა ივანეს ასული სალდაძე-შაშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ხასია ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს თეიმურაზ შაშიაშვილს დედის

შუშანა ივანეს ასულ სალდაძე-შაშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ასოციაცია „მონკავშირი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საჩხერის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის პრეზიდენტი

აკაკი (კახაძ მაჭარაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ინფორმაცია

## ბათუმში რკინიგზის 40-მდე თანამშრომელი დააკავეს

**„თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, 12 აგვისტოს ღამეს, ბათუმში რკინიგზის 40-მდე თანამშრომელი დააკავეს.**

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელმა გია ყრუაშვილმა აცნობა, სამართალდამცველებმა დააკავეს ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსი ხუხუნეიშვილი, მისი მოადგილეები, თბომავლის მემანქანეები, მორიგეები და შემადგენლობის თანამშრომლები, სულ 40 თანამშრომელი.

მისივე ცნობით, დაკავებულთაგან 13 პირი მოგვიანებით გაათავისუფლეს. 27 თანამშრომელს კი წინასწარი დაპატიმრება შეუფარდეს.

მისივე ინფორმაციით, დაკავების ოფიციალურ მიზეზად საწვავის ქურდობის ფაქტები დასახელდა.

„საქართველოს რკინიგზაში“ განაცხადეს, რომ დაკავების ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. კომენტარს არც სამართალდამცველები აკეთებენ.

## მტკვარში თევზების დახოცვის მიზეზების კვლევა დაიწყო

**გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტომ მტკვარში თევზების დახოცვის მიზეზების კვლევა დაიწყო.**

როგორც ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, მდინარის წყლის ქიმიური ანალიზი უკვე მიმდინარეობს, რის შემდეგაც დადგინდება მტკვარში თევზის დახოცვის მიზეზები.

არსებული ინფორმაციით, გუშინდელი მოვლენები სავარაუდოდ მდინარეში ჟანგბადის ნაკლებობას ან მჟავიანობის მომატებას უკავშირდება.

ამასთან, მეთევზეების თქმით, მსგავსი ფაქტი ბოლო ათწლეულების მანძილზე არ ახსოვთ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ დღის მეორე ნახევარში მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე დიდი რაოდენობით დახოცილი თევზი ამოტივტივდა.

## თბილისის ძველ უბანში ორსართულიანი სახლი ჩამოინგრა

**შემთხვევა ჩახრუხაძის ქუჩაზე მოხდა. საუკუნის წინ აშენებული სახლი ავარიული იყო.**

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან მის მობინადრეებს ის რამდენიმე თვის წინათ დაცლევინეს.

შემთხვევის ადგილზე გაწმენდითი სამუშაოები რამდენიმე დღეში დაიწყება.

როგორც ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლები აცხადებენ, შენობის დარჩენილი ავარიული ნაწილის დემონტაჟიც მოხდება, რის გამოც მიმდებარე ქუჩები დროებით გადაიკეტება.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ტესტი

# დასვენება – ფაქიზი ხელოვნებაა

## გაიარეთ ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ როგორ ფლობთ თქვენ ამ ხელოვნებას.

**1. ხართ მზად რომ გაიზიაროთ აზრი – თუ სამუშაო სასიამოვნო და საინტერესოა, მაშინ შვებულებაც აღარაა საჭირო?**

ა) საერთოდ, კი – 1.

ბ) უფრო არა, ვიდრე – დიახ – 2.

გ) არა – 3.

**2. თქვენი აზრით, თქვენ ადვილად ახდენთ ადაპტაციას მუშაობისა და დასვენების რეჟიმის შეცვლაზე?**



ა) პრინციპში, მიმაჩნია, რომ კი – 2.

ბ) ზოგჯერ მიჭირს გარდაქმნა – 3.

გ) ყოველთვის არა – 1.

**3. ხშირად ხართ მოწყენილი:**

ა) ზოგჯერ კი – 2.

ბ) დიახ, ხშირად – 1.

გ) პრაქტიკულად არასოდეს – 3.

**4 გაქვთ რაიმე ჰობი?**

ა) ადრე მქონდა ჰობი, მაგრამ ახლა მისთვის აღარ მცალია – 2.

ბ) დიახ, ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ნაკლებად საინტერესო იქნებოდა – 3.

გ) სამუშაო, გარკვეულწილად, ჩემი ჰობიცაა – 1.

**5. შეარჩიეთ გამონათქვამი, რომელსაც ყველაზე მეტად ეთანხმებით:**

ა) „ზოგჯერ დასვენების შემდეგაც აუცილებელია დასვენება“ – 3.

ბ) „ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ ის ისვენებს ერთი სამუშაოსგან, როდესაც მეორეს იწყებს“ – 1.

გ) „ვინც იცის, როგორ დაისვენოს, სჯობია იმას, ვისაც ყველაფერი შეუძლია“ – 2.

**6. ჯანსაღი დასვენება თქვენთვის – ეს არის...**

ა) ლაშქრობებზე წასვლა, სპორტული თევზჭერა, სწრაფდაშვება მდინარეებზე, მოგზაურობები ავტოსტოპით და ასე შემდეგ – 3.

ბ) დივანზე წოლა და სპორტული ტელეპროგრამების ან სერიალების ყურება – 1.

გ) ქალაქგარეთ ბუნებაში ყოფნა, ან კურორტის სანაპიროზე – 2.

**7. გიყვართ სტუმრად წასვლა?**

ა) დიახ, რასაკვირველია – 3.

ბ) ზოგჯერ კარგ ნაცნობებთან – 2.

გ) არა, დიდად არა – 1.

**8. მარდი ხართ?**

ა) დიახ – 3.

ბ) უფრო კი, ვიდრე არა – 2.

გ) არა – 1.

**9. შეგიძლიათ მიატოვოთ სამუშაო, რომ წახვიდეთ გასართობად?**

ა) დიახ, ხდება ხოლმე, ასეც ვიქცევი – 3.

ბ) არა, ეს თითქმის შეუძლებელია – 1.

გ) შეიძლება, თუ სამუშაო არც ისე სასწრაფოა – 2.

**10. როდესაც საქმეზე იმ ქალაქში აღმოჩნდით, სადაც არასოდეს ყოფილხართ, როგორ გაატარებდით თავისუფალ დროს?**

ა) სასტუმროში კომპიუტერთან ან ტელევიზორთან – 1.

ბ) ვცდილობ გავიდე ბუნებაში – 2.

გ) თავისუფალ საათებში ვცდილობ გავეცნო ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს – 3.

**11. პერიოდულად გიჩნდებათ შეგრძნება, რომ ცხოვრებამ ამაოდ ჩაიარა?**

ა) დიახ, ხდება ხოლმე – 1.

ბ) ძალიან იშვიათად – 2.

გ) არა, მე ასეთი არა ვარ – 3.

## შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნა:

11-17 ქულა. უნდა ისწავლოთ მოდუნება და დროდადრო მთლიანად გამოერთოთ ყოველგვარ საქმიანობას, ხომ გვმოძღვრავდნენ ბრძენნი: „კაცი, რომელიც დასვენებაზე არ ფიქრობს, ჰგავს იმ ხელოსანს, რომელიც არასოდეს ლესავს თავის იარაღს“. გამოიყენეთ ზაფხულის დრო მთელი ძალით – მოეშვით ყოველდღიურ ფაციფუცს და კარგად დაისვენეთ. მზე, ხილი, ველად და ტყეში გასეირნება, ბუნება – ყველაფერი დღეს თქვენს განკარგულებაშია!

18-25 ქულა. საერთოდ უარს არ ამბობთ დასვენებაზე. ისვენებთ, რომ თავი აარიდოთ უკიდურესობებს და არ გავიწყდებათ ზომიერება. ამიტომ ძალიან დიდ პრობლემებს იმასთან დაკავშირებით, რომ მოიყვანოთ თავი წესრიგში არაფრისკეთების პერიოდის შემდეგ, როგორც წესი, არ გრძობთ. თუ ჯერ არ ყოფილხართ შვებულებაში, ნუ ეტყვით თავს უარს კმაყოფილებაზე, გადადოთ იგი ხანგრძლივი პერიოდით, ვინაიდან სამუშაო მუდმივია, ზაფხული კი მალე გადის.

26-33 ქულა. როგორც ჩანს, თქვენ ბრძანდებით ადამიანი, რომელსაც უყვარს არა დროის მოკვლა, არამედ მისი მხიარულად და საქმიანად გატარება, გადასცემთ თქვენს ენერგიას გარშემომყოფებს! თუ შეეცდებით თავდავიწყებით არ ჩაერთოთ ზაფხულის გართობებში, ზაფხული თქვენთვის იქნება დასამახსოვრებელი, ხოლო ცხელი დღეებიდან ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში გადართვა ნაკლებად მტკივნეული იქნება.

◉ ანეკდოტები

– რა მსგავსებაა ქათამსა და დეპუტატს შორის?

– ორივეს შეუძლია კვერცხებზე საათობით ჯდომა.

– რა განსხვავებაა მათ შორის?

– ქათმის ამგვარი პოზა შედეგიანია...

* * *

– რას ნიშნავს მამაკაცისთვის ილბლიანი ქორწინება?

– შხამიანი გველებით სავსე ტომარაში რომ ხელი ჩაყო და იქიდან ანკარა ამოაძვრინო.



სკოლაში მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, როგორ უნდა დაიცვან უსაფრთხოების წესები ტყეში სიარულისას.

– გუშინ, – ამბობს იგი, – ტყეში შხამიანი გველი ვნახე, მაგრამ მას ჩემთვის არ უკბენია. და ეს იმიტომ მოხდა, რომ...

– ისინი თავისიანებს არ გესლავენ! – შეაწყვეტინა მიხომ უკანა მერხიდან.

* * *

მარო და მიხო მორიგ მექსიკურ ტელესერიალს უყურებენ.

– ნახე, როგორ უყვარს იმ კაცს ის ქალი, როგორ ეფერება! – ხმა უნაზდება მაროს.

– იცი, მაგისთვის რამდენს უხდიან?

## მონადირეთა საყურადღებოდ!

2011-2012 წლებში ნადირობის სეზონი იხსნება მიმდინარე წლის 20 აგვისტოდან.

ნადირობა დაშვებულია ყოველდღე, სეზონი გრძელდება 2012 წლის პირველ მარტამდე.

გადამფრენი ფრინველების მოპოვების ნორმები უცვლელია.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №30 ბრძანების თანახმად დადგენილია ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღები (იხ. საიტზე matrsh.wo.ge – ნადირობა).

ლიცენზიის ანგარიშია 300773033.

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „მონკავშირი“

ნინო რამიშვილის ქ. № 31, მე-5 სართული, ტელ: 2 22 60 10, 2 91 26 02.

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ოქრო და ვერცხლი ყოველთვის მიიჩნეოდა სიმდიდრის სიმბოლოებად. დღეს მსოფლიოში ოქრო უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ვერცხლი, თუმცა არაბეთს და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში, თითქმის ყოველთვის პირიქით იყო და ისინი დიდხანს იყვნენ კონკურენტები, სანამ ეს დავა XIX საუკუნეში არ გადაწყდა.

● „მწვანე მიწაზე“, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, გაცილებით ცივა, ვიდრე ყინულზე, – ლაპარაკია ისლანდიასა და გრენლანდიაზე.

● თავდაპირველად, ესკალატორით გადაადგილებისას, მგზავრებს გასამხნევებლად ერთი ჭიქა ბრენდს ასმევდნენ.

● ინტიმური კავშირის დასამყარებლად, პაპუასებს ტყეში უწევთ სიარული, რადგანაც ამგვარი ურთიერთობა მათ ქოხებში აკრძალული აქვთ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის **საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია** ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. **ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი.** საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

რექტორატი

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოწულია
299-62-77; 599 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24